ხის თბილი სახლები უღრან ტყეებში

და მუდმივი მისამართით დაღლილი

ჩენს ცვალებად მისამართებს აედევნე

მახსოვს როგორ გაგიცანი.

გახსოვს როგორ გამიცანი.

## სიჩუმის ყვავილები

"ტყეში ჩიტები ვალობენ დღისით და ძინავთ ღამით

დიდ ქალაქებში კი განათებების გამო დღე და ღამე ერთმანეთში ერევით,

დაუსრულებლად ვალობენ და გადაჭარბებული ენერგიის ხარჯვისგან მალევე იხოცებიან".

ოლივიე მესიანი

\*\*\*

სიჩუმეში იშლებიან ყვავილები,

სიჩუმეს ფერი აქვს, სუნი და გემო,

არ უყვართ ქალაქებს და დისკოთეკებს,

ღამის კლუბებს, რომლებიც იფარებენ

სიჩუმისგან გაქცეულ შენს მეგობრებს,

ხანდახან მათგან გრჩება მხოლოდ სავსე საფერფლე

და უცოყმანოდ გადასაყრელი ლუდის ბოთლები



\*\*\*

[illegible]

\*\*\*

ზალტოვებით და ძველმანებით სავსე კარადა,  
ფიდანას დანალეა უფროსებისგან,  
დაურღვეველი სინუის ქსოვა,  
რომლის ძაფუბიც ცაში შთაფრდება,  
იმ ანგელოზთან  
ჯერ კიდევ ჩელოს რომ გალიმებდა ფერად სიზიმარში.


米米米

პაჩუშე - ოქროს გასაღები  
საეულია მიღმა ამწვანებული  
უღრანი ტყისკენ.  
სიჩუქე - ძენში ამღვრებული ქარების ყურის დასაგდებად.  
ის, რასაც შენი ქრელაჭრულა და მოვლარუნე საუკუნე  
ყოველდღე კლავს და ყოველდღე ებრძვის,  
რასაც ყოველდღე ქსოვ და მერე კი  
საგულდაგულოდ ამოახევე დასაბრუნლის ძაფს,  
ამოწვევროს საბედისწეროდ,  
რომ აურიო გზა და კვალი აბეზარ მრღვეველს  
შენი თითებით გამოყვანილი ორნამენტებითა.  
რასაც ყოველდღე გედავებიან  
და შენი წილი მაინც რომ გჩრება:  
თავყრილობებზე, აურზაურში, ბრძოლაში  
და სახლში მარტო დარჩენილს.  
რასაც სიტყვებად ვერაზდროს თარგმნი  
და რისი გაოქმაც უხერხულია,  
რაც გასწერია მხოლოდ თვალდებით  
და შეგიძლია გადასდო სხვათაც,  
ტროლეიბუსში გვერდით მჯდომ უცნობს  
რომელსაც მერე ვერაზდროს ნახავ,  
ის რაც ყველას აქვს, მაგრამ მაინც  
სჭირდება ძენბა,  
ჩამოშვებული ქუთუთოების, სიყვარულების,  
წყენებისა და სიხარულების, სიზმრების მიღმა.  
თუ არ დაძებნი დრო მოგა და თვითონ მოგძებნის  
სოფელი წუთი, რომლის სიწმისი ხიწნისმღესაც  
არ გაუფრთხილდ და აიგავ ხელელური  
სმაურებით და თავყრილობებით.  
სანამ წიკნიკებს მზის საათი ჩემსა და შენში,  
სანამ პლასტმასის დედამისას ცა შერყენია,  
სანამ ყველაზე ღამის მუსიკას უკრავს  
ქარღვევები მბრუნავი სისხლი,  
სანამ სიჩუქეს ჟვრები აქვს სურნი და გემო...  
დღეს ჩემს კაპტუსებს მაშალამისას,  
სისხლისფერი ყვავილებს გამლის ღამე აქვთ,  
და დიდი დიდი... და ჩუმი, ჩუმი და...  
გაახილე თვალები ფართოდ,  
ვანერგებს მიღმა  
ღამის თორმეტზე  
ჩირბავს ვალობენ ნეონისაგან  
დაბნეული ნოქოტილები.



ირაკლი ყოლბაია

# ცხადი ოკულტი



## ონიროკრიტიკა I

სიზმარში ვნერდი, ოღონდ ვნერდი ნამდვილ წიგნს (რადგან მჯერა, რომ არსებობენ ნამდვილი წიგნები, წიგნები წიგნების უკან, ის უღრმესი ჩვენი წიგნების ფესვებში, რომელთა მხოლოდ ჩრდილიც ეცემა მინაზე, მას მერე რაც ხედ ავაყუდებთ ასლს, რომელსაც ვეძნით მათი მიხედვით), ეს ნამდვილი წიგნი, ამ სიზმარში, იწერებოდა ამგვარად: კი არ ვიჯექი მაგიდასთან, ფურცლებით და კალმით ან ფანქარმომარჯვებული გადაშლილ რეჟულთან, არამედ შევერთებოდი თითქოს წყაროს, არა, უკეთ, ვიყავი წყარო და შევერთებოდი პირვანდელ ზღვას და ამ მენყაროს გავლით მეთავეში დამიდიოდნენ ნამდვილი ნამდვილი, სრული სიტყვები, ფრაზები, აბზაცები, ახსნილი მათგანი, ველური, მოუთოკავი ყველა ნაკლოვანებით რომელსაც დავადებთ ხოლმე, რომლებითაც დაეხებიბრებთ ყველაფერს რაც მეორე ბოლოში გამოდის ჩვენი გავლით, მე, აგრეთვე აღჭურვილი გაუგონარი, წარმოუდგენელი გამტარობით, როგორც წარმოუდგენაც კი სხვათნაირი არ შემიძლია, ვატარებდი მათ ჩემში და ჩემი გავლით გროვდებოდნენ ისინი წიგნში, და თუ ვცდილობ ჩაეხედო ისევ იმას, სადაც მაშინ ვიყავი, საშუაოდ ჯერეს, როგორც პირთამდე დამნიჭებული ატამი პოეტთან, როგორც ჩვენ, ხანდახან, რომ გავიცვებით მოზღვავებით, რომელიც მეტია, ვიდრე შეგვიძლია, ავიტანოთ და გაეძლიოთ, როგორც თესლი ნისლის მოქცევაზე, გამოსული იმის ასოდან ვინც გიყვარს და ჩვენს რომელიმე ჭურჭელში, ჰო, ჯერეს, ვამბობ, ეს თითქმის შემზარავად, როდესაც ახლა ვიქნარობ ამაზე, მაგრამ მაშინ არ ვფიქრობდი არამედ განვიცდიდი, არც, ვლვიოდი წარმოუდგენელი, უსაზღვრო ბედნიერებით, ვივსებოდი სიღრმით, თითქოს უღრმესი ფსკერი გადამკეროდა კანად მანათობელ ძელებზე, და წიგნი გროვდებოდა, იქმნებოდა, ხორცს ისხამდა იმ ადგილას, სადაც მანამდე არ იყო არაფერი, და გამოიყურებოდა ისე, როგორც ლაბირინთი, ეს პირველქმნილი ლექსი, ანუ არა სტრიქონებით დაღარული ფურცელი, არამედ კონსტრუქცია იყო ეს წიგნი, ნაგებობა სრულყოფილ სიერცემში, თუ გადავიხრებოდი მე უსხეულო, შემქმნელი ჩამხედა შიგნით და დამენახა, როგორ ქმნიდნენ ეს სიერცული სიტყვათნაყოები, ეს მოძრავი, მოელვარე პირობები, აღჭურვილები ყველა გრძნობითა და მეტით, ქმნიდნენ ლაბირინთს ამ ჭაში, ამ ადამიანურ ჭაში, რომლის სახელიც გავიგე ბევრად გვიან მაგრამ ვიცოდი უკვე თუმცა არ ვიცი ჯერ, და რომ ვკითხულობდი მათ, როგორ ვთქვა, რომელი სიტყვებით, ახლა, შემიძლია ეს ვთქვა, როგორ მესმოდა აზრის სიმრავლეები, რომ ვკითხულობდი, ყველა ნახნავი ერთად, ყველა სრული, დახურული თავის თავში და ნაწილი, ათასობით წინადადება ერთი და თითოეული სიტყვა ათასი სხვა სიტყვა თანადროულად, თვითონ კითხვა, როგორც ლაბირინთში გადაადგილება, და მერე, მერე, სულ ბოლოსდა მივხვდი, რომ ვკითხულობდი თურმე ჩემ საკუთარ ციციქნა თხზულებას, ერთ-ერთ იმათგანს, შეიძლება, თუმცა არ ვიცი,

რომელსაც გადაეყრები მომდევნო გვერდებზე, ოღონდ გეითხოვლობდი არა იმას, რაც დავსწერე ჩვენი სამყაროში. ლეონ ბელის ცეცხლით, არამედ მის პირველწყაროს, იმ ხილვას, რომელმაც მაშინცნო თავი, რომელიც ნებაჩა და რომელიც მე დავაყოქლე გამომგონისას და გამოვაბი ჩემს ბრტყელ, სამწუხარო ფურცელს, ხორცს-ხეხილი, ის, უქმნელი, ჩვენი ნაკლული სიტყვებით; მაშინ მივხვდი, აგრეთვე, რომ მოვკვდიან ეს ხილვები იმა-ვე ადგილიდან, თუ მივყავართ ჩვენ იქ, ან გვამცნობენ იმას, სადაც დაიწერა ჩვენი სიზმრის სული. . . . მივ-ხვდი, მაშინ, როგორ ვისჯებო.

## სიტყვები მალლამფრენისა

*Not till I've seen the sky's not lit up  
In tears, child try and understand  
Don't pull the string, don't bring me down  
Don't make me land*

*(Tu se' lo mio maestro e 'l mio autore,  
tu se' solo colui da cui' io tolsi  
lo bello stilo )*

მაშინ, როდესაც ცხოვრება, მეც ისე მალლამფრენი ვიყავი, შემძლო ზევიდან მეყურებინა ყველაფე-რისთვის, და ქუჩები ამკლავებდნენ, თითქოს გასდიოდათ, თავისი სიმძიმეების ქვეშ დამალულ სიმრატე-ებს, კარდონის წონხებს, რომლებზეც იდგა მათი სახლები და შენობები და ეს ყველაფერი მემლებოდა თა-ვისათვის, ბუნებრივად, როგორც ხელისგული ცხვირის, მის მუჭში ჩაგროვილი არაფრით და თუ სოი და-უბრავს, ან თუ სულს შეუბერავ გამაფრთხილე წინასწარ ორი წამის წინ თვალები რომ დაეხუჭო, მაგრამ ღია მჭირდა და ვუყურებდი დაბლა, მე, მაშინ, ისეთი მჩატე, რომ მალღი ქარები მატარებდნენ თავიანთ გამჭვირვალე ზურგებზე და მათ მიღმა მემლებოდა ცხოვრების სურათები, მაგალითად მზათობით, რო-დესაც ქალაქში სახალხო სეირნობები ეწყობოდა და შემეძლო მეყურებინა, როგორ გამოდიოდნენ გა-ნოწყობილი, კარგად შეხვეული კაცები და ქალები, ერთი მეორეშიც გახვეული მკლავებით, როგორც მოწყვნილი, დახვედნიანბული კატა პატრონს, ყველა მათგანი გულისამრევი, შეზრდილი თავ-თავის თა-ვისქალაქში ამოყირავებული თვალებით, მუცლებით და ფეხებით: ქალები გვანან, ვიჭირობდი მათში, ტუა-ლეტება შიგნიდან და კაცებიც და მე ისე მალღა მათგან, რომ თუ გადავაფურთხებდი, ან გადავაფსამდი, გადავაფურთხებდი ან გადავსაფსამდი, ან გადავაფურთხებდი და გადავაფსამდი, აქედან, მშრალი ეერა-ვინ გამოვიდოდა, მე კი ვიფრენდი მალღა და მალღა ისე, სანამ მალღი ქარები თვალებს არ წამართმევდნ და თუ დაეჯდები მაინც შემიძლია ვჭამო რასაც ძაღლები ჭამენ და მერე ისევ მალღა, და რაც თან დამეცეს მხოლოდ იმდენადვე მჩატე შეიძლება იყოს, რომ ბუმბულზე დატეულიყო - რადგან მალღაფრენისგან და ნელ-ნელა გაქრობის განცდისგან ცრემლები მდის გაუთავებლად და მალღ შეიპყრობს ახალმოძილებს ცი-ვი ქარები და, მაშინ, გადაიქცევა ჩემი წყვილი კაკლის მურაბა თვალში, ორი ისეთი თითქოს ორი ცალი სავ-სე შავი მთვარე დალიეს, გადაიქცევა მაშინ ორივე შიგნიდან გარეთ ყინულის მადრეხნად და მაშინ მეც და-ნახება შევწყვეტ და მერე მორჩა - ასე, პატარ-პატარა, სიტყვები როგორც ციქვნა ამოსუნთქვა, რომ ბუნი-ბულზე დაეცოდა.

## უანასკნელმბტვერქვემ

*Dar v spun: trebuie s ascunzi o mare nebunie  
ca s vrei s devii piatr, lemn sau putregai.*

*Un monde où tout serait silencieux et immobile  
et chaque chose à sa place dernière, sous la  
dernière poussière.*

მეტისმეტე დიდი ხანი თუ გავატარე ჩემი ხისგან კურდღლის ყურებში ყალბი განათების ვიწრო მავ-თულზე რადგან რომ აწენი თავი თითქოს როგორც ვერ ვიცანი გარემოში - მერე დაეპირებუე საკუთარი მუ-ჭიდან ჩანთაში და ჩანთა მატრასს ქვეშ მატრასის ქვეშ იატაკი იატაკზე მატრასი რომელზეც ვწერვართ მე და დანარჩენი და მეც იმ მატრასზე მაშინაც იმ ღამის თვალბში - ჩემი კურდღელი კიდევ იქ რომ დამემალა და ახლა თუ ვუყურებ ისიც მარტო ღამით და ღამითაც მარტოდამარტო მაშინ თუ გადავწყვეტ ისე ჩანს სხვების თვალბს გარეთ ვიყო და შეიძლება უაზროდაც არაფრად სულტყვილა რადგან იმიტომ შეიძლე-ბა უკვე მოსწყინდათ და ვეცოდები ანდა დაიღაწენ მაინც მაგრამ ვერ ვიციწყებ როგორ პირველად მომი-პარა ერთი გამომგლიჯა კურდღლი ხელიდან და მერე ესროდენ ერთმანეთს კვადრატურის აქედან იქით ბოლოს წინ და უკან სანამ მიყურებდნენ ან მესმოდათ მე როგორ ვაქნევდი ხელებს სულელივით საფრთხო-ბელავით და ვყვიროდი და მარტო იცინოდნენ და იცინოდნენ უფრო და უფრო თუ მივუსწრებდი რომელი-მეა სანამ ხელში ჩემი კურდღლით იდაყვს მერავდნენ ისე რომ მირს მივყვი და სანამ ისევ ავღვებოდე უკვე წინ იყვნენ კვადრატული ნაბიჯებით სანამ ბოლოს არ დაგბრუნდი ჩემთან ჩემ ბლოკში მუცლით დაბლა და

ქუთათობები მოუფუქრებ ერთიმეორეს ტკივილამდე თან გულში გტვიროდი გულში მინვიზდა ჩემი გულმა უკვე დაკარგულს მაშინ გულისთვის ოღონდ რომ იმათ თურმე მონჯინებოდათ და შეიჩირჩხეს უკანს უკან თოთოთიოდ თავის-თავისთან თავის ბლოკებში და ჯერ გავიტყე ყრუ ბრახ ჩემ ბლოკში ძირიდან და გულხარა არ აიხდოდ არც შიამცქიო არც არსებობის არც ისინი არაფერი არ არსებობენ ვითომ მერე როცა ბოლოს დამიმძვინვრეს სხეულის გარინდვამ ყველაფრის უკვე სიჩუმემ - მაშინ გაფიხედე და ავიღე იქიდან ჩემი კურდღლი და ხეღისგულთი ვეფერე დედანს სანამ თითქმის არ მოშობდა იმითი ძალა მტვერებით - ახლა კი ბედო უკვე ჩანთაში და ისიც იატაკის ჯიბეში სადაც ვმალავდი იმიერიდან მერე შეგედე დანარჩენებს ქვებივით კლდეზე დაყარის სინათლის მავთულიც უკვე გამქრალი და ყველაფერიც რაც ცა აღარ ჩანს ამიტომ მოკლედ თვალები დახუჭე

ამდროს კიდევ წყლის კაცმა შემოიტანა და შეგვეძლო დროდადრო ერთერთსაგავსეულიყავით და ბოლოს ჩვენი კვადრანტიდანაც გაგვიხსნეს გზა და შეგედით - დაეძვა და თავიდან და დიდი ხანი როგორც ისრების შხაპი ტკივილი განსხვავება მიგინათ და გარეთ სანამ ბოლოს ოდნავ შევიგუე და მეკე შენყდა და დამრჩა კანი რბილი ზორცებები და რბილი სინაგრეებიც რბილი ასე ფრჩხილები ჩამოვიმტვარიე ხის კედლებზე და მერე გამომავდეს და მე რომ არ მინდოდა უკან ტანსაცმელებში შემოიმა ადრეც იყო რომ მე მივეცვლიდნე და არ ამიტომ მომიბინა და რომ დავბრუნდი ჩვენი კვადრანტი ნაქერქვეს ხელი და მაშინ გამახსენდა არ მაყუაგა იქ და კიდევ კარგი მაშინ როგორც ძველი სიო და კოლოფიც ქვემოთ ამოვდე კურდღლის გვერდით ჩანთში ჩანთზე მიმშრალი ხელით და მეორე ხელი სხეულ თმაზე დავიდე და როგორც მიმეხებოდა თბები მეზრდებო თავზე გვერდულად და შუაში ბრტყლად და წვერებიც და სხვა წვერებიც შუაში და გვერდებზე და თუ ამაღამ გადავწვდებ სხეულის თვალზე გარეშე ვიყო რომ გამომრებო მეორე ხელიც შეგეძლე უკან ამოვიღო კოლოფი ჩანთიდან და ერთი აეხათო და მეჭიროს ისე და ვუყურო სანამ თითებს არ დამწვავს

სანამ სხვებიც მე ვუყურებ როგორ აქვთ და იქით აქვთ იქით აქვთიქით სულ ერთი მეორე კვადრანტურა და მერე როცა აღარ მე მარტო ვახლდ თვალებს და მაშინაა რომ სხვა ჩადის ძირს და ამომდის არა როგორც ახალი ერთი - როგორც ყველაფერი მთელი მე ყველა და მსინჯის მიხვლეცს მფერესს მსყეს როგორც იმდროს ახალი წყალი რომ ვახელ თვალებს მარტო და ისინი სხვები როგორც ძველი კლდეებზე აქვითელ და გამქრალი განათების ყალიბი მავთული მაშინ ვხეც ხელებს - ერთს ან მეორეს - იატაკის ჯიბისკენ მერე უკან და როგორც წესი მაშინ მეც სხვებთან ერთად ერთ-ერთ ქვად ვიქცევი

## სიუცხოვე

მე არ ვარ აქაური, უცხო ვარ ამ მიწაზე და უცხო ამ ხალხისთვის და ეს ხალხი უცხო ჩემთვის და ეს მიწა, ამ ქუჩებში, ხმაშალა, მთელ ხმაზე, შემთხლია ვილაპარაკო რაც მინდა, როცა მომინდება, იმიტომ რომ არ ესმის აქ არავის ჩემი ენა და არავის, რას ვიტყვი, ხალხს, რომლებიც, ჩემთან ერთად, იქნებიან ქუჩაში განვცლებდები და ჩამიბდიან და არ შემომხედებენ, არ ეცოდინება, რა მოუხერხოს ამ ხმას, რომელიც ესმის, ეს ქუჩაში, სადაც საბოლოო მტრული ტრამპიები გამოსულები ჩემზე სანადიროდ და, ამ ქუჩებში, მწერს რომ აბნევს თავის ძაღვებს ჩემ თვალწინ, რომ ბოლოსდაბოლოს ვეღარ დავინახო როგორც გერასდროს, როგორც ყოველთვის, ეს ქუჩაში და ასევე შეგინითაც, კედლები ამ ბინაში, რომელიც არაა ჩემი და რომელიც არაა ჩემი, და არც მე მათი ამ მისი, მე დაეკარგე ჩემი ხალხის გასაღები და ჩემი ხალხის ვაძალიებმა დამკარგა მე, ჩემმა სახლმა დაკარგა ჩემი გასაღები, აგრეთვე, და დრო, რადგან მართლა მართალი ყოფილა, რომ მარტოობაში დრო იბერება, იზრდება, ბევრდება, როგორც გარკვეული მატერიები წყალში, და არც ბევრდება, არც იზრდება, არამედ თითქოს გზას უთმოვს ცარიელ ადგილებს თავის თავში, რომლებიც სულ იქ იყვნენ, დამალულები, და ეს ცარიელი ადგილებიც გზას უთმოვს სხვა სიცარიელებს მათთან და ასე, და ასე, უზომლოდ, რომ იდაყვამდე შეეტეოს ჩემი მაჯა, თუ მოვინდომებ, და მოვინდომე, ხანდახან, მე შევისხაწოდე ისინი, ეს ცარიელი ადგილები და სიცარიელები კიდევ მათში და კიდევ, როგორც, შეიძლება, შეისხაწოდინ ბორცვები და სორბები, სიყვარულით, სიყვარულის დროს, და ადამიანებს, არსებებს, რომლებსაც აქ ვხვდები აგრეთვე რაღაც აქვთ სათქმელი, და ასერებენ ხშირად ანას თავიანთი ჩრდილებით ამ სხვა მზღვლებით და ზოგს, ჩანს, არ მოეწონვარ და ზოგს მოეწონვარ ანუ ყველას რაღაცა, რომელიმე ერთი ნაწილი, თუ უნდა ვთქვა ერთი რომელიმე ნაჭერი ჩემგან, ზოგიერთი, ასე, დამატარებს თავის თავში, ასე მსყის, მინახავს რომ არ გავქვე, როგორც შეიძლება დამალე შენობა ავტო-ავტურ და ატარო ისინი ჯიბით, იმის ნაცვლად, რომ უყურო როგორ ჩამოიშლება ყველაფერი, ყველაფერი, ჩსოვლებით, ერთიანად, როგორც წესია, თუ იმდენი საერთოდ ოდესმე რამე, და იმათ, რომლებიც მე მიყვარს არ ვადარდებ მე, ვე-გულგრალები, და ვისაც მე უყუვარვარ, მე არ მადარდებენ, თუ დამეხმარნენ ერთი-ორჯერ, მეჩმარებოდნენ დროის გაყვანაში, არა, გაყვანა არ უნდა იყოს სიტყვა, არა გაყვანა, არა გართობა, არამედ შევსება, შეკვრა, რადგან დრო, მართლა, ცარიელია, მოშვებული, და დღეები ცარიელი და სივრცე ცარიელი და ცარიელი მიგინათ და ცარიელი გარეთ, თუნცა ქალი, რომელთანაც მივდიოდი ხანდახან ამისთვის, მივდიოდი სილაშხისთვის, ვიყვარებდი მძინვარედ ჰაერს, რომელსაც ჩემამდე შევხო თავისი სხეულით, და მერე, არჩემს ყუთში დაბრუნებული, ჩემს სინდრელში დაბრუნებული, ხშირად ჩანმოვიდგენიდი და ვტყუიდი ხანდახან არავის მის ნაცვლად, ცამ ვარსკვლავები იწვიო ამაწამს ჩვენ საწოლში, ანდა ვთხოვ არ მაქციო ერთ-ერთ იმთავანად, ვისაც უნ ექვს, ფული დახარჯოს სილაშხით ტკობის უფლების მისაღებად, და მერე, ხშირად, მეორე დღით, ცარიელი ზეწარი ჩამოფარებული ჩემ მხედველობაზე გაუთავებლად მთავაზობდა



შენს კონტრულს, და მე ვეფერებოდი მოზაიკას, რომლითაც ჩემი წარმოსახვა მაშარაგებდა. მაშინვე შევხვედრებოდა, ეს ქალი, უამბო, იყო გულგრილი და შეუსრულებელი ჩემი ყურადღებისგან, თუმცა ზრდილობიანი, გულმონყალი და სულგრძელი, თუ მოვიდომებდი, ვახსენოთ ყველა შიდა ქუჩაქალი, იქნებ შეესწროს, ეს ქალი, ერთ დღეს, როგორ ვეფერებოდი მე რომელიმე არტისტიულ კავშირითაა ერთად, ეინც არ მადავრებს, და ლაპარაკის ხმებთან, ნაბიჯების ხმებთან, ყმების ხმებთან, მუსიკის ხმასთან, სიჩუმის ყველა მოსახლესთან ნელაფარო ჩემი მამა როგორ გააცნობს მათ უახლეს აღმოჩენებს, გამოკვლევებს იმ ქიანს, იქ, შიგნით და გარეთ, და მოხდება იქ ჩემი შემოქმედად აღიარება და ჩემი ბნელი ქალბატონი მამის მოხიბლული მტკიცის ჩემი ცუდი ხმის ღირსებებზე, და იქნებ გამოიყოს მერე სივრცე რომ დაეფუძე და ველაპარაკო უცხო გულმონყა და ველაპარაკებ, მაშინ, მე, რათქმუნდა, ყოველთვის, მხოლოდ და მხოლოდ ღრუბლებზე, და რამდენხანს ეფუძრება მათ, რამდენი ხანი გაეფარებოდა ღრუბლების ყურებაში, ვეცხვი უცხო ყურებს, და მოთმუდა მომეფეროს მაშინ ხანდახან, რომ იცინა უკვე, უკვე მიხედნენ, გადაწყვიტეს, რა მოუხერხებო ჩემ რჩას და ამ სიტყვების და მეც აღარ მომიწევს გაგატარო ყოველთვის ჩემი მომხმამული ცნობიერება თვითაღმის საცდრამ, რადგან შემქმნელს, გაუგებ, მიუგება, მართლა, ჩემი სახსარკვევითების ყვავილი იქნებოდა, საიდანაც სხეულები იხსებიან, და მორჩა, თუმცა მეცოდინება, და არ შემოშლის ეს ხელა, რომ სხეულები, უზრალოდ, მოაზნით, ისევე, როგორც მამამდე, როგორც ყოველთვის, ეს სასაცილო, უზრუნული, უადგილო ხმა მოსულს სხეულებზე, ართობთ და ახალისებთ, რადგან ჩვენ არ გვცხება, რომ ასეა, ეს ხმა, ეს ღრუბლები, და ეს კარგია, და ხომ არ შევცდები, იღვსება, ერთდღეს, ჩამოვდარა ჩემ სხვის ზინაში, ცივ სახლში, გამზარდული დანჯარის შემხედვარე, და ჩემი ნაწილები და ხმა და მთელი ჩემი მე გახანული გამოსაფენად სხეულის ბიბებში, სხეულის საბელებში, სადაც ყველაფერი, რაც მომაკლდა, რაც დაეკარგე, რაც არ ყოფილა, რაც არ უნდა ყოფილიყო, და იქნებ, მაშინ, ჩემი ნაწილები, რაღაცნაირად აიწახალურებენ ამ საბელებში გამოფენებით, გულაფერს რაც არ შეიძინა არასდროს, ხომ არ შევცდები, მაშინ, თუ მივიხედავ უკან, ან როგორც იქნება, სულერთია, და ვიტყვი, ან არ ვიტყვი, მაგრამ გავიფიქრებ, ვიგულისხმებ, მთელი ჩემი სხეულით, მისი ფესვებით, სახის გრძნისით, პერიტაც კი ჩემს გარშემო, დავასკვნი, ამ ხალხის მოვიხიზნი, მათი სიძულელი, გულგრილობა, მათი სიცივე და ჩემი სიუცხოვე მაქმევდნენ ნილების მანძილზე პურს.

**მართალთა ძილი**

და დაახლოებით მაგ დროს გავიგე პირველი ხმა, და მეც, სანამ მეგობარი ლაპარაკს აგრძელებდა და მისი ფიგურა თუ რაღაც სხვა, თითქოს, ამტკიცებდა, რომ ახლა, ბოლოსდაბოლოს, გადავიდოდნენ მისი სიტყვები მთავარ ნაწილზე, ყველაზე მნიშვნელოვანზე, რომ სხვა ყველა სიტყვა, ყველა მათგანი, რომელიც წინ სდგოდა, ღალატ თითქოს ხალხთან ზღუდრებზე ამ ამბავს, დაახლოებით მაშინ დაეკარგე ყურადღების ბოლო ნატყვებიც, ერთად მოეფარე თავი, როგორც პურის ნამცეცებს მაგიდაზე ხელის მოძრაობით, ჩავიყარე ხელისგულში და იქიდან, პირდაპირ, გაეძლია მუჭი, მტვერის გაფრთხი, თავი მივხიზნე ჩავლენე, სანამ ის განაგრძობდა, ზრდადი თვითმნიშვნელობით ხმაში, მისი ფიგურა ახლაც ისევე ნაფიგურადგანათებული, ნაფიგურად არ, ისე ჩავყინათული უმეტესობით ოთახის სიბნელეში, რომელიც გადარჩენიდა ნათურის მაგიდაზე, როგორც, წარმოემდგინა, მაშინ, ქუჩაში ღამით, ქუჩის უმეტესობა გაფლენილი სიბნელით და მხოლოდ ორი-სამი ღელა, განათებული ხელოვნურად, აქა-იქ, და გავჩერდი ლამპობითა, თვლის კუთხით, დან შევედი შემეგრძნია მისი პირადი, განოლილი ტროტუარზე, რომლის კამპონიაც - თუ უნდა ვთქვა მეწველი? ორეული? - ბოლომდე შეყუდული სატრიალოში, თუმცა ჯერ არ მესმოდა, ვერ გხვდებოდი, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო ეს ხმები, საზიზღარი, რა ინევედა, მაინც გავიჭედე იქ, თითქოს ფეხებით შეეყენებე ქუჩის ერთიერთ განათებულ ადგილს, და ჩემი თვალებიც, რომლებიც, დიდი ხანი იყო უკვე, მას აღარ უყურებდნენ, იხოვდნენ იმ ცოტათივე სიბნელეს, რომელსაც მიაკვლევდნენ, მაგიდაზე, და იქიდან ჩამოფრთხილბო, იატაკზე, იქ მსუბუქად განოლილს და ნელ-ნელა გაცრეცილს, რაც მეტად მიაკვლევდა თვალს ოთახის მეორე ბოლოსკენ (ნელ-ნელა გაცრეცილი, შო, თუმცა ვხახე, ერთიელ, მასპივს, ისიც, როგორ დაარსა სახლის ერთ-ერთ დერეფანში შუქი ანთებული მთელი ღამით, და ისეთი დადგმები, ეს შუქი, რომ მამა მერე რაც გათმენილსას ის ჩაუქაჩრე და კიდევ ერთხელ გავიხიარე ბნელ დერეფანში, შევამჩნიე, რომ იატაკისა და მისი მომიჯნავე პატარა მონაკვეთს გადასდებოდათ მისი ოქროსაბალისფერი, ფრჩხილუბის დასახული, ო მესხიერება მოეზიზის პირველი მტერი, ხმა არ წყდებოდა და (და არ წყდებოდა), თუმცა უკვე ვხვდებოდა რაც იყო, უკვე აღვადგინე მთელი ამბავი, უკვე მიხვდებოდა ტვინში ის ერთი-ორი სურათი, რომლებიც ახლა გადაამოწმებ ცრთმანვთს, ისე მჭიდროდ, განსაკუთრებულად, რომ უკვე ზუსტად ვიცოდი, მე ვიყავი დამნაშავე იმ ქუჩაზე (ამ ოთახში?), ყველა სხვა, ჩაგრული და მჩაგრელი, თანაბრად აუფთა, თანაბრად განლაგებული ღამის მტკიცეულ პაერში, მაინც არ შემეძლო აღვიდოდი მოწყვეტა, სარივით ვერქე, თუ გნებნებ, გაუმწიფელიად ისე იქ, ვერ ვდგამდი ნაბიჯს ვერც წინ ვერც უკან, თუმცა ორივე მეტად მძნელი, თუნდაც დიდად არცერთი, ვიდრე იქ დგამა, ხესხივთ, ასე, ეს მძნელია ყველაზე ნაკლებად, საერთოდ არა, თუმცა, პრინციპში, საერთოდ არ მიხდოდა არც დანარჩენები, არც წინ წასვლა არც უკან, არც არსა, და მაინც მეტად, ვიდრე, მეტად, ოდნავ მეტად, თუმცა, იქ, ხესხივთ, და ყველაფერი, რასაც ამბობდა, მუყენებოდა მეტად და მეტად, შემეხებოდა მეც იმდენადვე მაინც, რამდენადვე - თვითონ, რადგან არაფერი ნაკლებად არ მიხდოდა, იმწამს, ვიდრე იქ ვდგამა და ამ სიტყვების შემეხება ჩემ ყურებში და ტვინში ჩემი ყურების გარშემო, ეს სიტყვები, რომლებიც სადაცა შუაგზაში იქცეოდნენ საზიზღარ ღამის ფრინველებად და მხოლოდ ამის მერე, უკვე სახეცვლილები, აბიჯებდნენ გარედან ჩემში და




იქ აუზარუნებდნენ ფრთებს, ტვინის გარშემო, თავის ქალაში, ისე, რომ მემკონი კარგა ხნის მერე მივხვდი, რომ ხმა უკვე შეწყფარაო, ყველაფერი ღამის მღუშარებას ეყირა, და, კიდევ უფრო გვიან, კუთხის ძმობე, პერიოდულ ქოშინს, რადგან, მართლაც, პროცედურა მომენტურობა, მაგრამ სადარბაზოდან ფეხს არ იცვლიდა, და ამასობაში ჩრდილიც თან შეუერთა მივითი, და, მეც, თითქოს, ჩრდილთან მქონდა მოსარი კავშირი მთელი ეს დრო, თითქოს მას მივები იმ განათებული ადგილისთვის, როგორც კი ვეღარ დავიგულე თავლის კუთხეში, შევძელი ნელ-ნელა შემობრუნება და სადარბაზოს მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯია გადადგმა, სადაც ახალი სიბები დახვდნენ ჩემ ყურებს, ეს კაცის ხელები იყო, რომლებიც ჯერ მოუსვენრად მერე ნელა სივ მოუსვენრად ისევ ნელა მიმოდიოდნენ ბეჭებზე, თან რაღაცას ბუტბუტებდა, გავიგე ესცე, მაშინ როდესაც, ახლავა, გამიგო თვითონაც და შემობრუნდა, ეინ ხართ, რა გინდათ და ეგეთები როგორც დაღწილი გემის ნაყარ-ნუყარი მისი ხმის უზერხულ უფორმო ტალღებზე, და იგივე ტალღები, შორსმოცაბცაბე, შეჩვენებდა, ირეკლავდნენ ზედაპირზე სინათლის ორ ნვეის მის ხოცოვამ, შავ თვალებში, საზიზრობა, მე კიდევ გაწერდი და დიდხანს ვუყურე ჯერ კაცს, მის ხელებს იდაყვამდე ამოთხვრილს, მის ხელებს იმ ქაში, საცოდავ გრეხილებს მის სახეზე, რომელზეც ახალ შიშს ბოლომდე ვერ გადავედო ყოფილი ნეტარება, მართლა, სრული ნეტარება და მეტი არაფერი, მერე ძირს განოლილი ძაღლის გავას, რომელიც, ადრეული ბენეით და ზედ შემოხრდილი სისხლით, უკვე, თითქმის, საუკუნეების წინანდელი, მაგონებდა ნაგვის გროვას, და მასსოვს, თუ სწორად, გავიფიქრე თითქოს მაშინ, რომ, მართლა, ბენეი, ოფლი და სისხლი საში მოავარი რამე იყო მასში, ისევე თავისთავად, უხეხურად, ინერციით, როგორც სხვა ყველაფერი იმ მომენტიდან, რაც პირველად გავიგე ხმები, კაცს საბოლოოდ მივუახლოვდი, და ყველა ფიქრი დატბორა მისმა სუნთქვამ და საბრალი უფულებმა, სანამ მეთვითონ არ გახვდი ეს ხმები და მეტი არაფერი, ისინი აძლევდნენ რიტმს ჩემ ხელებს და არ გაეჩერებულვარ სანამ აღარ შემეძლო და მერეც თუ გავახილე თვალები, რადგან მაშინდა მივხვდი, რომ ის წინა რიტმი უკვე ბოლომდე ეკუთვნოდა ჩემ ყურებს და მას ვეღარავფერი გამოცემვად იმაზე, რაც ადრე სახე იყო, ახლა კი ცუდად ნახმარი ტაფის ძირი, აღარაფერი განსაკუთრებული იმ ადგილას, სადაც გამოჭრილიყო მანამდე შირი, იგივე, რომელიც ბოლოს, ან სადღაც შუაში, მოასწრო ეთქვა, გთხოვთ, გთხოვთ, ისე მცოიდა, ისეთი გაყინული ჩემი ხელები და ისეთი თბილი თბილი თბილი მისი სისხლი, მაგრამ აქ რომ ამოხვდა ჩემს მგვობარს თავისი სიტყვებიდან, მათი სადარბაზოდან, კაცისა და ძაღლის გვამებიდან, თავისი ფიქრების მთელი სანაგვე კონსოლიდან, შეამჩნევდა, რომ მის მსმენელს ამასობაში ჩასძლიდა, გაუგებარია ზუსტად როდის, რის გამოც ვერ გავარჩევდი ვერც მე, რომელი სიტყვები ეკუთვნოდა მას და რომლებით მომამარაგა გადამარჩენმა ძილმა.

## ნივთები

ამ საგნებს, უკვე ყველათვის გაგამოსუხადვარებულიებს, ის კრეფდა ყველგან, კრეფდა იქ, სადაც იმოვიდა, როგორც კრეფდა სხვები ყვეილებს, და ილაგებდა მათ, ინახავდა, ასევე, სადაც მოუხდებოდა, სადაც ჰქონდა ჯერ კიდევ ზედ ცარიელი ადგილი შესახესებად, სანამ არ გაიყვებოდა ყველა ნაშროლი მასში, მასზე და აღარ დარჩებოდა აღარაფერი რასაც დაისახლებდა რითაც, და ისედაც, გარდა ამისა, არც ის უნდოდა, გამხდარიყო შემგროვებელი, ანდა ქეფულიყვინ, როგორცაღაც, ეს ნივთები მის საკუთრებად თუნდაც ბრჭყალებში, ამიტომ ყველგან, სადაც შეძლო, მან დატოვა მათგან თითო-თითო, თითო-თითო ნაწილი თავისგან, რომელიმე, ისე, რომ აღარაა უკვე ბევრი ბინა, აღარაა უკვე ბევრი ადამიანი, რომელშიც ის ყოფილა, რომელსაც ის შეეხდრია, რომ არ შეიცავდეს, რომ არ ჰქონდეს რომელიმე ერთი ნივთი, რომელიც მან იპოვა და შეინახა თავისი მოძოლიყველობის ჟამს, და თუმცა აღარ იქნება მოგონების მტყერი მასზე ვარსკვლავების მესხიერებაშიც კი, ეს ნივთები გასცდებიან მას და გარკვეულწილად განაგრძობენ მას ასე, ნაწილ-ნაწილ, უცნობუნარსულოდ, უმასსოვრობოდ, ის გახდება, სასწაულებრივად, ნივთები როდესაც აღარ იქნება, ნივთები რომლებიც დანახავც პირველმა ისწავლა, და თუმცა არასდროს მათ ისე ყურადღებით არ მოუსვენებს, რომ გაიგოს როგორ ზურჩილებენ დროდაროდ, არდამივიწყო, მაინც შევუვლილი დაგვეშვა რაღაც შეუძლებელი შესაძლებლობა, რომ ერთ დღესაც როგორღაც შეეცდებოდა ვინმე გაყოლოდა ძაღს უკან-უკან და გზად შეხედდრია ყველა ის ნივთი, რომელიც კი მან სადმე დატოვა, და ამრიგად ის, ვინც განვილია ამ უკუშომლოცველობას მანამდენამდე, ააგებდა ხელმოკრედ რაღაცას, რაც ოდნავ, რაც თითქმის იქნებოდა ის, რაც ოდესღაც იყო თვითონ.

## ზამთრის ტყვილი

(რატომ გამიყარა გუშინ ღამით ზამთარმა თავისი დანა სიცივედ მუცელში? და გავილიყე დილით დაქრილმა, უღალად ყრილობიდან სისხლის ნაცვლად რომ მდიოდა ტყვილი და სიცივე - ტყვილის ნაცვლად) დღეს დილაა არ აქვს ისეთი სიცივე ჩემთვის, როგორც წუხელ ღამეს, როდისთვისაც ავიჭირე ასე, მაგრამ მაინც, სიცივე, რასაც ხელად მიგყავარ ოდნავ უფრო ღრმად, ღრმად ამ ქაში, ფარდის მიღმა, ვიდრე ჩვეულებისამებრ, და ხმები იმ ქუჩაში, რომ გამოეც ფეხქვეშ, მომდინ ჩემგან სინათლის წელიწადები და შორეულნი და რასაც ვხედავ, აგრეთვე, შორსაა, შორს ჩემგან, შორს, შორს და რა კიდეც, ნამცეც-ნამცეც ასაკურად, თუკი მოვიწოდებდი და არ - რომ არ ვიცოდე, ტყვილია რაღაცნაირად ყველაფერი რასაც ვხედავ, გამიშეუძლებელდებოდა მაშინ ამ თვალების ტარება, და მაფერი სურნელი, ხილის და ნაგვის და ქალების, მაქრილობად ესხმან ჩემ ნესტოებს, უცხო სხეულებად მეკიდებიან და ჩემი სახე იასამინფრდება ბოროტ ხუშრობად და ჩემი ხელებიც, უფრო თხელი ახლა ჩემი წვეილი ნაფოტა ხელი ვიდრე ოდესმე,



წყვეტილი თითქმისტოლი ნაწივლუკი კიდევ ჩემი შუა თითის შუა ბალიშზე მეწვის განსხვავებულ ცეცხლსა და ყინულსა შორის, თითქოს აპირებდეს გადამატაროს ზამთრის სიცივე და ზაფხულიც ერთბაშად, და კიდევ რაღაც: ზუსტად მაშინ, როდესაც აპირებს თითქოს, მეჩვენება, ყრუ ზვირთი ჩემს გულში, გასცეს პირველი ნამდვილი, ღრმა გრძნობა მთელი ჩემი ორგანიზმის გადაღმა, ნერვების დაბოლოებებამდე, რომ გაეფანტა ეს სიცრუის შრეები შრეები შრეები ნადებად ჩემს ტვინსა და რაზე ამ დროს ეუწა და მისი მოსახსნამი და სხვა მხლებლები მთელი ძალით ბრუნდება აღქმის ფოკუსში და მამბრუნებს იქ საიდანაც ზუსტად მაშინ როდესაც მზებგამოსული სულ ერთი წამით ნაშნამებს ჩემ ქუთუთოვებზე და იყენებს მათ დიფრაქციულ მე-სერად და მადებს მხედველობაზე ცისარტყელვებად ნამდვილებს თითქოს უნდა დაიბადოს პირველი ნამდვილი აზრი რომ მიმომიფანტოს სიცრუეები გულის ფსკერიდან ზუსტად მაშინ წამით თვალს ვკრავ ჩემ ანარეკლს რამე ოპტიკურში რომ მიყურებს და თავს იკატუნებს ვითომ ვარსებობ.

## დაბადება

ცდილობ ჩრდილი ამოვიყვებო, გამოვყვებო ჩემი

სხეულიდან, დავყვებო და ვყვებო

ჩრდილში ეათავსებ ყველაზე ძვირფასს

რაც კი ჩემში უხილავია, რაც შენებლო მქონდა

რა გარიყული

იქნებოდა ყველა ადამიანი უჩრდილოდ - მაქვს ეჭვი, ვერ ექნებოდა ვერცერთ მათგანს ვერცერთი წვეთი ურთიერთობა ვერავისთან რომ არა ჩრდილი - მტკიცებულება, რომ ერთიანი არ ხარ არც უნიფორმული რომ რაღაც მუდმივად გდის ყონავს შენგან, გასდის შენს მეს, ყონავს ფეხებით, თუნდაც თან სდევდეს მაინც რასაც, ძირს განოლილი მის ძირას მის ფეხებთან უცნაურ გეომეტრიულ ურთიერთობაში მასთან და ამიტომ, ნიშნავს ეს იმასაც, არაა მაშინ განწირული სრული, ხელუხლებელი მარტოობისთვის

## ღამე ოფელიასთან


მთელი ღამე ოფელიასთან გავატარე სიზმარში, სიზმარი მისი იყო, მის მკედარ შეშლილ თავში შობილი, მის მკედარ შეშლილ თავში ვიყავით, და გამახვია თავის ძილის წყლებში, თავისი სიკვდილის ზავში, განოლილმა თავის მკედრის ცოცხალ ქვებზე, კანი ყველგან თეთრლურჯად განეარეგებოდა, რემბოს თვალებების ფერი იყო მთელი მისი სხეული, გარდა ადგილებისა, სადაც უკვე მოუჩანდნენ ლილითის ძვლები, მე შევნიშნე, ის განძარცვულიყო თავისი აქადმყოფური უმანკოებისგან, გამყინვარებულიყო, მისი თმები წერეთლის ცეცხლი, მისი არსი - ჩემი შუაუღებელი ჩემი სიგჟე, დამარხვ სიტყვები რომლებიცაა შენ თვითონ აღარ გჯერა, მითხრა სიმრისხანაზით, დამარხვ სევდა თვისიხბრალული ოცი წელი რომ გათრიეს ამქვეყნად

და განთიადისას, მარტო დარჩენილს,

შემრჩა სიტყვები

ოფელიაზე ყოველდღიურად ფიქრის შედეგად გადავწყვიტე რომ ის დე სადის ქვეშა დამარხული

აქ ასვენია ოფელია სისხლის კედლების ქვეშ



პოლონელი პოეტი ადამ ზაგაევსკი 1945 წელს დაიბადა ლვოვში, დასავლეთ უკრაინაში, თუმცა იმავე წელს მცირე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მისი ოჯახი საბჭოთა კავშირიდან პოლონეთში გადასახლდა და გლივიცეში დაფუძნდა.

ზაგაევსკი კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტში სწავლობდა, რომელიც 1970 წელს ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით დაასრულა. მისი ლექსები პირველად 1967 წელს გამოქვეყნდა, 1972 წელს კი გამოვიდა პირველი კრებული „შეტყობინება“.

1968 წელს, მეგობარ პოეტებთან ერთად, ზაგაევსკიმ დააფუძნა ლიტერატურული ჯგუფი „ახლა“. სამრფეობაში მანიფესტში ჯგუფის წევრები მოითხოვდნენ როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო და საგაზეთო ცნებების გათავისუფლებას იმ მაღალფარდოვანი, ყალბი პათოსისგან, რომელიც დღითიდღე კლავდა პოლონური ენის ცოცხალ ენერგიას და თითქმის შეუძლებელს ხდიდა მის ბუნებრივ განვითარებას. მიუხედავად სტატიის გარეგნული აპოლიტიკურობისა, მან გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო სპეცსამსახურების ყურადღება და ჯგუფის წევრები ანტი-კომინისტურად განწყობილი ახალგაზრდების რიცხვს მიათვალეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, იულიან კონსპაუზერთან ერთად, ზაგაევსკიმ კიდევ ერთი ლიტერატურული ჯგუფი, „ახალი ტალღა“ დააფუძნა. ამჯერად ჯგუფის წევრები კრიტიკულად აფასებდნენ არა მხოლოდ სინამდვილის შეღავათების ტენდენციას, რომელმაც პოლონურ ლიტერატურაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიკიდა ფეხი, არამედ 1960-იან წლებიდან მოდურად ქცეულ ენობრივ პერმეტიზმსაც, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად აღარაბეჭდა პოლონური სალიტერატურო ენის ტრადიციულ თვითმწყობადობას.

1970-იან წლებში ადამ ზაგაევსკი დაუახლოვდა დისიდენტურ ჯგუფებს და 1975 წელს, სხვა პოლონელ ინტელექტუალებთან ერთად, ბელი მოანერგა ცნობილ პეტიციას, რომელიც „59-ის წერილის“ სახელითაა ცნობილი. პეტიცია დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ დღიდან აიკრძალა ზაგაევსკის ნაშრომების გამოქვეყნება პოლონეთში და 1980-იანი წლების მინერულამდე მისი ტექსტები მხოლოდ ემიგრანტულ ჟურნალებში იბეჭდებოდა.

1970-80-იანი წლების მიჯნაზე ზაგაევსკი აქტიურად ჩაერთო მოძრაობა „სოლიდაროზი“ საქმიანობაში. 1982 წელს ის იძულებული გახდა, დაეტოვებინა პოლონეთი და საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა. ოცი წლის მანძილზე ძირითადად პარიზში ცხოვრობდა და მხოლოდ 2002 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

დღეს ადამ ზაგაევსკი უდავოდ ყველაზე აღიარებული პოლონელი პოეტი. არის მრავალი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, არაერთი ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა არაოფიციალური ტიტული - XX საუკუნის პოლონური პოეზიის იმ დიდი ხუთეულის წევრობაა, რომელსაც ნაკლებობენ ზბიგნევ პერბერტს, რესლავ მილოშს, ტადეუშ რუჟევიჩს, ვისლავა შიმბორსკას და მას. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ის უკვე რვაჯერ აღმოჩნდა ნობელის პრემიის ფინალისტთა სიაში. პოლონეთში პოპულარულია მისი გამომცემლის, ეტი ილგის მოსწრებული ზღმობა, „მგონი დროა, ადამს სანობელე სიტყვების კრებული დაეუკუეთო“.

## ადამ ზაგაევსკი

თარგმანი მკობრე რატიანა

### ელექტრონიკა

რობერტ მას

მშვიდობით გერმანულ რადიოშიმღებო  
ერთადერთი მწვანე თვალით მსხვილ სახეზე,  
რომლებიც ქმნიდნენ ელექტრონულ ეკვივალენტს  
სულის და ბორცის (შენი შიდა ნათურები ციმციმებდნენ  
და ეარდისფერი გეგდა ტანში, როგორც ორგანული,  
როგორც ბერგსონის „სიღრმით ეგოს“.

შენს პირზე აკრული

ხორკლიანი ქსოვილიდან (ყოფიდა რომ გვეკრული  
საალმსარებლის სარკმელივით) ჩურჩულებდა მუსოლინი,  
ყვაროდა პიტლერი, გემოდღერავდა სტალინი,  
კნაოდა ბერუტი, ლაყბობდა გომულკა.

შენ ბრალს ვერავინ დაგდებს ღალატში.

ერთადერთი შენი ცოდვა - მორჩილება,  
აბოლუტური, უპირობო მორჩილება მეგაპერცების.  
იღებდი, რასაც გადმოგცემდნენ. გადასცემდი, რასაც იღებდი.  
შენ ხმას ვერავის ჩაუბმობდი.

თვითონაც ვიცი,

რომ შუბერტის სიმღერები განიჭებდნენ ნამდვილ სიხარულს  
და ელექტრონულ გულისცემას გიჩქარებდნენ შოპენის ვალსები;  
მხოლოდ ისინი გინაზებდნენ პირზე აკრულ ხორკლიან ქსოვილს,  
როგორც ძველმოღურ რომანებში - კაბის გულისპირს  
შეყვარებული გოგონების ძუძუებზე;

და არა ბი-ბი-სი,

და არა თავისუფალი ევროპის რადიო,  
როცა შენი მწვანე თვალი ნერვიულად ხამხამებდა,  
მსხვილდებოდა და ნვრილდებოდა მწვანე კაკალი,  
თითქოს მიგელო ატროფიის ქაბი დოზა.

დროგამოშვებით

შენში ბუდობდნენ ჭოროკანა თოლიები, ოხრავდა მკებები.  
თავს გაფარებდნენ ლამბაობით SOS-სიგნალები  
ღია ზღვაში ჩაკარგული მელნაურების  
და ზუზუნებდნენ თავანამყვებილი ახალგაზრდა კომეტები.

შენი სიბერე დაიწყო შიშით.

ხმები თანდათან მოიგუდნენ, შემდეგ დაბრმავდი  
და ჩაქრა შენი მწვანე თვალი; ბოლოს დამოუჯდდი.

იმინე მშვიდად, გერმანულ რადიოშიმღებო.

მუშანი იყოს შენი სიზმრის თანამგზავრი. არ გაიღვიძო  
არც მაშინ, როცა დაიწყებდა ნორიტი ტირანი.

### გრძელი შუადღეები

დადგა გრძელი შუადღეები, როცა პოეზიაში მიმატოვა.

მდინარე ზღვისკენ მიათრევდა ზარმაც ნაგებს.

გრძელზე გრძელი შუადღეები. წრდილები ისე იწებებოდნენ,  
იფიქრებდი, ცხელი ახვალტი იწებებდა მათ ბოლოებს. ქედმაღალი მანეკენები  
დამცინაეად მიყურებდნენ ყველა ვიტრინიდან.

პროფესორები ცარიელი სახეებით ტოვებდნენ ინსტიტუტს,  
თითქოს ილიადა, როგორც იქნა, თვითონვე მობეზრდათ.



თუმცა საღამოს გაზეუბები ხავედ იყო ცუდი ამბებით, ფეხს არავინ უჩერებდა. თხემით ტერფამდე შეფუთულ მონაზუნებს თითქმის რცხვენოდათ, რომ იყვნენ ცოცხლები და ფანჯრებშიც არვინ ჩანდა, მათ შორის - არც შენ. დადგა გრძელი მუადლები, როცა ლეესებმა მიმართოეს და შევრჩი ქალაქის გაუმჭვირვალე დემონს, როგორც უიღბლო მოგზაური, რომელიც ხალხის მძიმე ტალღამ გამოისროლა გარ-დღე-ნორის სადგურიდან - სექტემბრის ნვიძაში ორმაგი სკოჩით შეფუთული მძიმე ჩემოდნებით.

მასწავლე, როგორ განვიკურნო ირონიისგან. მზერისგან, რომელიც ხედავს და ვერ ყვრეტს. მასწავლე, როგორ ვერძოლო სიმუნჯეს.

## ჩემი დეიდები

მუდმივად მოუცლელები იმით, რასაც ეძახდნენ ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს (თეორიული პლატონის ეკუთვნოდა), იდაყვებამდე ჩაფლულები კარადებში და ლოგინებში, სამზარეულოს უჯრებში და საყვავილეში, არასოდეს ივინყებდნენ ლავანდის პაკეტებს და იფრქეოდა თეთრეულის კარადიდან მინდერის სურნელი.

ცხოვრების პრაქტიკული მხარე, როგორც მთვარის ჩაბნელებული ფერდი, სულაც არ იყო მოკლებული იდუმალებას. როცა შობა ახლოვდებოდა, ცხოვრება ხდებოდა წმინდანის praxis-ი და დროებით ცხადდებოდა დერეფნებში ყოველივე დაფარული: ფუთებში, ჩანთებში.

თუკი ვინმე მოკვდებოდა, რაც მომხდარა, სამწუხაროდ, ჩვენს ოჯახშიც, ისინი გადაეწყობოდნენ ამჯერად სიკვდილის პრაქტიკულ მხარეზე და დროებით ივინყებდნენ ლავანდის პაკეტებს, რომელთა ისედაც შემწლილი სურნელი კიდევ უფრო მძაფრდებოდა ზეწრების თოვლში.

## ლეოვი ნასვლა

ნახვიდ ლეოვში. რომელი ბაქნიდან გადის ლეოვი, თუ ეს არ არის სიზმარი, არამედ განთიადია, როცა ცვარი ბრწყინავს ჩემოდნებზე და ილიძებენ ელმავლები. მოულოდნელად ნახვიდ ლეოვში, ღამით და დღისით, სექტემბრის მინურულს ან მარტის დამდეგს. თუ ლეოვი არსებობს. თუ ის არსებობს არა მხოლოდ ჩემს პასპორტში - საზღვრის მიღმა. თუ ისევ სუნთქავენ ალვის ხეების და ივნების წვეტიანი კენწეროები ხმამაღლა, როგორც ინდიელი მეომრები. თუ ისევ ისმის ნაკადულების მოგუდული ესპერანტო, თუ იკლაკნებია გველები, როგორც სილბოს ნიშნები რუსულ ანბანში. ჩაალაგო ბარგი და გაქრე დაუბარებლად, შუადღისას, ისე უცაბედად, როგორც გოგონებს მისდით გული. მწვანე ბირკავები, მწვანე არმია ბირკავების, და მათ ჩრდილში ლოკოინები, როგორც კაფეს ქოლგების ქვეშ, რომლებიც მსჯელობენ მარადისობაზე. საკათედრო ტაძრის კედელი, რომელიც მალდებდა, შენ ხომ გახსოვს, როგორ მალდებდა





აღდგომის ღამით. იატაკზე ვედრო ყოლოთი,  
ხელსახოცები მაგიდაზე, თეთრი, როგორც მწიკე ვენებები,  
რომლებიც მაშინ ჯერ არც იყვნენ ჩასახული,  
და მინდვრები, სარეგვლები, დედოფალ ანას ქარვისფერი  
ყელსაბანი, ფრედროს<sup>4</sup> ზნესი კომედიები.  
ლეოვი ყოველთვის მეგობარი იყო, არავის მოეწონა  
მათი ყველა ლაბირინთი, არავის ესმოდა  
შპით დაბრუნებული მისი ქვეყნის ნაბოძვარი.  
ლაშქრობით ეკლესიის მღვდლებს განსხვავებოდა  
საკათედროს სიწმისგან, სადაც იეზუიტები  
ნათლადნენ ნერვებს და ყვავილებს, და ისინიც იზრდებოდნენ  
თელაბებში. სიხარული დაფრთხილებდა  
ფეხსაცმელს, დერეფნებში, ყავის საფუძვლებში,  
რომლებიც თითქმის თავისთავად ბრუნავდნენ,  
საანგელოზო, რომელიც უნდა ყოველივე ფორმალისგან  
წინაპარი, წიგნის წვეთებში, ვარდის ეკლებში.  
ფანჯრის წინ იდგა გაყვანილი ფურცელი. რეკდნენ ზარები  
და მათი ირგვლივ, მონაზვნების კორნეტები  
დაცურავდნენ თეატრის წინ, როგორც იალქნები.  
და სამყაროც ბევრი იყო. დღე ილეოდა,  
მათი მაშინც უსასრულოდ უზმოზდნენ ბისზე -  
მაყურებელი დედაც და არ ჩქარობდა  
სახლი წასვლას. ჩემი მორწმუნე, შინაბერა დეიდები  
ცხოვრობდნენ ერთად და ვერასდროს იფიცებდნენ,  
რომ მათ ოდესმე გაეცაცოებოდა. ზოგჯერ ბეზინგსკი<sup>5</sup>  
ჩამოდიოდა ლექციების წასაკითხად და ერთ-ერთი ბიძაჩემი  
მუშაობდა პოემაზე სახელად „რატომ“,  
რომელსაც უფალს მიუძღვნიდა. ლეოვი ყოველთვის  
ბევრი იყო, და ვერასდროს ეტყოდა ვერცერთ ჭურჭელში:  
ჩეთქავდა ჭიქებს და ჯებირებს, ტბორავდა ქუჩებს,  
მეწიბებს ხანძრად ედებოდა, ხეებს ქარიშხლად,  
ქეჩა-ქუჩილით იცინოდა. ჩამშვიდებული  
მინ ბრუნდებოდა, კითხულობდა ახალ იალქმას  
და ეძინა კარმატული ხალხისკენ ზურგმჯექტებით  
ხის დივანზე. თავისთავზე მეტი იყო ლეოვი ყოველთვის  
და არაფერი დარჩა მისგან: რაც უფრო სწრაფად იზრდებოდა,  
მით უფრო სწრაფად სხლავდნენ მაკრატლები  
მეზალების, უბოდიშოდ, უსიყვარულოდ,  
როგორც ყოველთვის - იენისამდე, ვიდრე დათბებოდა  
და ვიდრე შეიშლიტებოდა ახალი გვიმრებით  
სინამდვილე - ზაფხულის მინდორი.  
მაგრამ ჭრიდნენ მის ღეროებს, ფოთლებს, ყვავილებს  
მეზალების, მკერავების, ცენზორების სეკატორები  
გატაცებით, როგორც ბავშვი მიაყვლებს სამართებელს  
იშვებს და მგლების კონტურებს  
ამოსაჭრელი სურათების ფერად ალბომში.  
მაკრატლები, დანები და სამართებლები  
ჭრიდნენ, სერავდნენ, უმოკლებდნენ გამომწვევ კაბებს  
მოედნებს და სასაბუღებს; ცვიოდნენ ხეები  
ერთმანეთის მიყოლებით და უჩუმრად, როგორც ჯუნგლებში,  
და ტაძარიც ზანზარებდა. თუნდებოდა. ადამიანები  
უცრემლოდ ემშვიდობებოდნენ ქალაქს და ერთმანეთს.  
აეთი მშრალ ტუჩებს ვეღარც ნახავ. ვეღარ ნახავ  
ამ სახეებს. წინ იმდენი სიკვდილია. ვერასდროს მიხვდები,  
ვეღლა ქალაქი რატომ ხდება, თუნდაც ერთხელ, იერუსალიმი  
და ვეღლა კაცი - ებრაელი, რომელიც ყოველდღე  
ბარვს ალაგებს ნაჩქარევად, სუნთქვამკრული,  
და ყოველდღე მიდის ლეოვში, რომელიც იქნებ  
კიდევ არსებობს, უმშვიდესი, უსუფთავესი,  
როგორც ქლიაფი, ლეოვი ყველგანაა.

## მოხუცი მარქსი

ვცდილობ ნარმოვიდგინო მისი უკანასკნელი ზამთარი.  
ლონდონი, ნესტი და სიცივე, ჭუჭყიანი თოვლის ბელტები  
ცარიელ ქუჩებში, ტემზას შავი, ზარმაცი წყალი.  
როგორ ანთებენ პარკში კოცონს გათოშილი მძავეები.  
როგორ ღმუიან ღამელამოებით ლოკომოტივები.  
როგორ ყაყანებენ მუშები პაბებში,  
თან ისე სწრაფად, ერთი სიტყვაც არ ესმის მათ.  
როგორ მდიდრდება ევროპა და თითქოს მშვიდდება,  
მაგრამ ბელგია სისხლს ნოეს კონგოელებს.  
და რუსეთი? ტირანი? ციმბირი?  
როგორ გაჰყავს საღამოები დარაბების თვალიერებით.  
როგორ ვერ იკრებს ყურადღებას, როცა ათეთრებს ახალ ტექსტებს  
ან კითხულობს ახალგაზრდა მარქსის ნაშრომებს  
და ჩუმად, გულში, როგორ ტკება ამ ახალგაზრდა ბიჭის თავხედობით.  
როგორ სჯერა, მიუხედავად ყველაფრისა, თავისივე უტოპოების  
და მაინც, ზოგჯერ, როგორ ღრწის ეჭვი  
და თითქმის ხედება, რომ სამყაროს შეასაღა  
მხოლოდ ახალი რედაქცია სასოწარკვეთის.  
და ბოლოს როგორ ეხუჭება თვალები და ვერაფერს ხედავს,  
გარდა წითელი წყვილადისა საკუთარი დაშვებული ქუთუთოების.

## მომცრო ბინაში

მამაჩემს ვკითხვ: რას აკეთებ მთელი დღეები?  
და მან მიპასუხა: მახსოვს.

გლივიცეს მომცრო, მტერიან ბინაში,  
საბჭოთა სტილის დაბალ კორპუსში,  
სტილის, რომლის თანახმადაც  
ქალაქები უნდა პგავდნენ სამხედრო კაზარმებს  
და ოთახების სივნიროვე, კედლების სითხელე  
გამორიცხადეს კონსპირაციას,  
ხოლო ძველმოდური კედლის საათები  
ისე ზმამალა წიკნიკებდნენ - თითქოს მარშირებენ,

მის თავში ყოველდღიურად სტვენენ  
39-ის სექტემბრის ბომბები  
და ხასხასებენ კომიტები, ნეკერჩხლები, სტვენენ ჩიტები  
ლვოვის იუზუიტურ ბაღში,

და დგას სურნელი დატკენილი, ნოტიო ქვიშის  
და დაცურავენ დნესტრის ნაგები,

და მეორდება ის ცხელი დღეც,  
როცა პირველად შეხვდა გოგოს  
ხელში სამართლის სახელმძღვანელოთი,  
და სატვირთო ვაგონებიც მიგორავენ დასავლეთისკენ  
და მიჰყავთ ის და მისი ოჯახი,  
ქვეყნიდან გაძევებულები, სასაზღვრო პუნქტისკენ,

და მის თავში ცოცხალია ორასი ვარდიც -  
მისი ჩეხი სტუდენტების საჩუქარი  
68-ში გაწეული თანადგომისთვის,

და ცოცხალია უთვალავი ეპიზოდი,  
რომელთა შესახებ არასდროს მსმენია,



და ტუჩებიც იმ გოგოსი, ვინც არ გახდა დედაჩემი,  
და ბავშვობის შიშნარევი, ხურტკმელივით მოტკბო სურნელიც  
და კედლე, ვინ მოთვლის, რამდენი სურათი,  
სამუდამოდ ჩაქარგული ჩემამდეღ უფსკრულში.

ასე იბრძვის შენი ტვინი მომცრო ბინაში  
და სახეზეა შედეგიც: გახსოვს.

შენს ავადმყოფურ საუკუნეს  
სხვანაირად ვერ აცოცხლებ, თუ არა ბრძოლით.

## ლექსები პოლონეთზე

ეკითხულობ ლექსებს პოლონეთზე,  
უცხოელების მიერ დანერგულს.  
რუსებსა და გერმანელებს  
აქეთ არა მხოლოდ ზარბაზნები -  
კედლე მელანი და კალმები, მცირედენი თანაგრძნობა და მდიდარი ფანტაზია.  
პოლონეთი მათ ლექსებში  
მარად დაძაბულ მარტორქას ჰგავს,  
მოხალაჩეს გობელენის შალის ტყეში.  
ის ლამაზია, და სანაყალი, უსირცხვილოც... მაინც არ მესმის,  
რას ემყარება ეს პაეროვანი, მირაჟული, ციური კოშკები,  
მაგრამ მეც კი, ფხიზელი მკითხველი,  
ვინუსები ზღაპრული და დაუცველი ქვეყნის ჯადოთი,  
რომელსაც ფლუტდენი გამუდმებით  
ორთავიანი არწივები, შეშლილი იმპერატორები, მესამე რეიხი, მესამე რომი...

## En Route<sup>6</sup>

### 1. ბარგის გარეშე

მეზავრობდე ბარგის გარეშე,  
გეისონის მატარებლების ხის მერვებზე,  
არ გახსოვდეს შენი სამშობლო,  
ჩამოდიოდე პატარა სადგურებში,  
როცა ბინდი იფანტება  
და მეთევზეთა ნავები შედიან ზღვაში.

### 2. ბელგიაში

ცრიდა ბელგიაში  
და მდინარე ბორცვებს შორის ჰგავდა ქრილობას.  
არ მომწონდა ჩემი თავი.  
ხეები იდგნენ მდელოებზე,  
როგორც ბერები მწვანე კაბებში.  
ოქტომბერი მოცოცავდა სარეველებში.  
არა, ქალბატონო, მიფუგე მე,  
ეს მოლაპარაკეთა ვაგონი არ არის.

### 3. ქორი დასტრიალებს ავტოსტრადას

განბილდება, თუკი დაეშვა  
და დააცხრა თუნუქის ფირფიტებს,  
უგემოვნო ხმამაღალი მუსიკის ექოებს  
და ჩვენს შეკუმშულ გულებს.

### 4. მონბლანი

ის კაშაშებს და შორია თეთრი, ეჭვიანი,  
როგორც ფარანი ჩრდილების მიმართ.

## 5. სეგესტა

უსახურავო ტაძარი მიწდორში,  
როგორც გულაღმა მიგდებული  
მკვდარი მტაცებელი.

## 6. ზაფხული

ზაფხული იყო უძლეველი გოლიათი  
და ჩაიკარგა ჩვენი მანქანა  
ცერდენის გზაზე.

## 7. სადგური ბიტომში

მინისტრებმა გასასვლელში  
სიგარეტის ნაშენები ხარობენ  
და არა ზიზილები.  
სიმატკოვის წყარალი სურნელი.

## 8. პენსიონერები სეირნობისას

ისინი სწავლობენ სიარულს  
მინაზე.

## 9. თოლიები

მარადისობა არ მოგზაურობს,  
მარადისობა იცდის.  
მიხოლოდ თოლიები ღაცობენ  
თევზსაჭერ შორტში.

## 10. ტაირმინას თეატრი

ტაირმინას თეატრიდან დინახე  
თოვლის ნარჩენი ეტნას მწვერვალზე  
და მოკაშკაშე ზღვა.  
რომელი იყო უკეთესი მსახიობი?

## 11. შავი კატა

შავი კატა თითქოს ანბობს:  
მზერა მოწყვეტით რომაულ ტაძარს  
და მე მიყურეთ. მე ცოცხალი ვარ.

## 12. რომაული ტაძარი

ხეობის ფსკერზე  
რომაული ტაძარი ისვენებს.  
ეს ჭურჭელი საესეა ღვინით.

## 13. სინათლე

სინათლე ძველი სახლების კედლებზე.  
ივნისი.  
გამკვლელო, თვალი გაახილე.

## 14. გამთენიისას

სამყაროს ხელმეცხეობა გამთენიისას  
და სულის სიმყოფე.



1 - ბელოსლავე ბერუტი (1892 - 956), პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

2 - ვლადისლავ გომულკა (1905 - 1982), პოლონეთის შუათა გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1943-1948 წლებში.

3 - პრაგტიკა (ფრანგ.).

4 - ალექსანდრე ფრედრო (1793 - 1876), პოლონელი კინემატოგრაფისტი და პოეტი.


5 - სტანისლავ ბოლნისკი (1878 - 1911), პოლონელი ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი.

6 - გზაზე (ფრანგ.).

ივ ბონფუა

# პოლ ვალერი

ფრანგულიდან თარგმნა ნიკოლოზ აგლაძემ



ვალერიის შეონდა ძალა, რომელიც უმიზნოდ და-  
იხარჯა. ჰქონდა ნებისყოფა და ენერგია, მუდამ მო-  
მართული ყველაზე რთული ენობრივი სამუშაოს  
შესასრულებლად, მაგრამ რად უნდოდა ეს ფრან-  
გული პოეზია, რაციონალური რომ ეგონა, სინამ-  
დვილში კი ბურუსით მოცული, ბუნდოვანებაზე  
მჭედილი აღმოჩნდა, და არსებითად, სიღრმისეუ-  
ლად ვერ ეთანადება საკუთარი საზრისის სამშობ-  
ლოს: უნისლო სანაპიროს, სიკვადის სახიფათო ჰო-  
რიზონტს. ხდება ბოლმე სინათლის მირაჟი. ხდება  
ბოლმე, რომ პოეზია შეიგრძნობს, როგორც იმე-  
დაცვრებას, ტყუილს, გარკვეულ - რეალურსა თუ  
ნარმოსახივს - ნიადაგს, გონისმიერ ხმელთაშუა  
ზღვას. მხარეს, სადაც გრძნობა ისე მარტივი, ისე  
უბრალო, ისე წმიდაა, თითქოს მას პირდაპირ სა-  
განთა სულთან მიეცაყადეთ: მარადიულ ზღვასთან,  
მზესა თუ ქართან. სადაც სინათლე არაფერს ნი-  
შავს და არც თავად ინილებს. სადაც მზერა ცოდ-  
ნას ჩემულობს და გონებას შემეცნების საკუთარ  
გზას ახვევს თავს, სადაც ზეთისხილის ხე ლორღია-  
ნის, ანდა წყლის პირას, რასაკვირველია, ზეთისხი-

ლის ხის არქიტექტურა. აქ მოსულთ, საქმე თითქოს  
ზეგრძნობადთან, მატერიაში მოუხელთებელთან  
გვეყვას, იდეათა სახლში სწრაფად დასაბრუნებელ  
გზასთან. ილუზია კი იმდენად საანთა, რომ, მაგა-  
ლითად, იტალიური ენა, თავისი ცხადი და სრულ-  
ქმნილი სიტყვებით, არც ეჭვიანობს და არც ვან-  
სჯის - მაგრამ არის სხვა გზაც. არის ერთი არაჩე-  
ვლებრივი რამ: რაც უნდა უფორმო და ბნელი იყოს,  
- არსება, რომელიც დაიბადა, დროს მიჰყვება და  
სიკვდილი უწერია. არსება ზუსტად ამ ადგილას. ეს  
ზეთისხილის ხე, სწორედ ეს ხე, სიღრმისეულად გან-  
სხვავებული, არსებული hic et nunc, რომლის მყო-  
ფობას ცუდი თუ კეთილი გააქრობს. ვალერი ან-  
მყოფობის მისტერიას უგულვებელყოფდა. მასთან  
დაპირისპირება არისტოტელეს მიმდევრად ყოფნას  
გასურვებინებს. რადგან იდეის ზმანებას პოეზიაში  
თან დიდი ხიფათი სდევს: სიტყვა შესაძლოა ვეღარ  
იყოს სკანდალი. ვაშბობთ: ყვავილი, ზღვა, ზეთის-  
ხილის ხე, ანდა ქარი. ეს სიტყვები კი საგანთა არსს,  
მონოტონურობასა თუ მარადისობას თითქოს რომ  
მოიხელთებენ, ძალიან ზედაპირულად ეხებიან იმას,  
რასაც ვალერი ნამდვილ ზღვად, ზეთისხილის ხედ,  
ანდა ქარად მოიაზრებდა. აი, ენისათვის დასაშვები



ბედნიერება, მაგრამ რა მსხვერპლის ფასად! მშვიდობა - გამოკრება, მიბაძვა, აღზრდა - მაგრამ უმოქმედო და უსულო მშვიდობა, სრულად საპირისპირო იმისა, რაც, მაგალითად, მალარმეს სურდა. ეს უკანასკნელიც, მართალია, აიგებდა სიტყვასა და იდეას, ყვავილასა და "გამოყოფილ ნებისმიერი თავიულოკან", მაგრამ მას ესმოდა, რომ იდეა არ არსობს, ჯერაც არ არსობს და მოითხოვდა "წიგნისგან" მიხედვით მოქნილი და საფუძველმიძვეტი სიყველით შექმნა საუფლო, სადაც იდეები იარსებებდა. შესანიშნავი პოეტიკტი, თუმცა კი იმდენად პოეტური, რომ ხსნის გზადაც კი ასახლებდა თავს! ყოფიერებებს კენ დადგმული ნაბიჯი იდგას აწინებს და გაწყვირის იმას, რაც მას წაუყოფს: მატერია, ადგილი, დრო - ყოველივე, რასაც მალარმე აერთიანებდა სიტყვით - შემთხვევითობა. ამდენად, ჩემ მიერ ზემოთ ხსენებულმა სკანდალმა ჩვენს მტყვევლებში იჩინა თავი. ვგულისხმობ დისკანდიას სიტყვასა და ამ რეალურ ნივთს შორის. ობიექტის ინტელექტუალური შემეცნება დაუპირისპირდა მის გამოკრებას, რომელსაც ნამდვილად შეგვიძლია სიყვარული გუნადოთ.

ყოველთვის, პლატონიდან პლოტინამდე და პირველ ქრისტიანებამდე, იდგის ფილოსოფია წრილობებს ამ მაცოცხლებელი წყლით იმუშავდა.

ეს კი, ვფიქრობ, თანამედროვე ფრანგული პოეზიის, აი, იმისა, ბოდლერმა რომ ჩაუყარა საფუძველი, აბსოლუტურად ორიგინალური თვისებაა: მტყვევლების ყველაზე პოეტურ მომენტში ის იდუმალ სრვილს შეიცნობს. პოეზიამ, ისევე როგორც სიყვარულმა, უნდა ვადაწევიტოს, რას ნარმოადგენენ არსებები. მან თავი იმ "აქ და ახლა"-ს უნდა მიუღწევას, რომლებიც სვეტლანა ამპარნუხიანდ გააუქმა ენობრიობის სახელით, და იმ სიტყვების საშუალებით, ყოფიერებას რომ სცილდებიან, ამ უკანასკნელს სიღრმისეულად და პარადოქსულად დაუფურცლეს. სა შეიძლება იყოს ლექსის საბრწყინო, თუ არა ის, რაც იკარგება? ახალქმნილი პოეზიის ქართიად უნდა მივიჩნიოთ სონეტი გამკლულ ქალს. ამდენი ზეტილის შემდეგ, ახალი პოეზიის საგანი სიკვდილის განაზრება გახდა.

## II

მაგრამ ვალერიმ არ იცოდა, რომ სიკვდილი უკვე გამოიგონეს.

მისი ნაწერები პასკალისა და ბოდლერის შესახებ საოცარი სიჯიუტით გამოირჩევა. საბოლოოებს პვერის ისეთი სამყარო, სადაც არსებობს არც იბადებიან და არც კედებიან, სადაც რაღაცეები უსასრულოდ მშვიდად გრძელდება და ისე მოკვდრდება, რომ სინამდვილეში არც დაწყებულა; ღამის ჩრდილით დაფარულ მსუბუქ ხატებათა საუფლო. სამყარო, სადაც შეიძლება გვიხნოს კიდევ, თუ, რა თქმა უნდა, მართალია, რომ გარკვეული ნათელი ძილი (რომელიც ვალერის უამრავ ლექსში ბედნიერების ბოძასწავებელია: ძილი, რომელიც ფილტრავს გრძნობებს და მათ მხოლოდ მგრძნობიარესა და უნივერსალურ ნაწილს გიტოვებს) თითქმის ეუფლება რაღაც ოდითგანდელს, მცენარეულსა თუ

ცხოველურს, ძველი ბერძნული ხელოვნების ხასიღელს რომ ნარმოადგენდა; ეს შთავლემარ ფიქრს მძინარე არსება აჩრდილია და კარს სხვა არრღელესაც უღებს. ვალერის შუუყვარდა სამყარო, რომელიც ოცნების საკითხიც კი არ ისმებოდა; ოცნებების მოქმედება არაფერის ზედაპირს ააბოკებს: რადგან იქ, მისეულ საყაროში, არც ჩვენი მოქმედება რეალური. ყოველივე ისეთია, როგორიც იქნება - ზერად ვალერი ახალგაზრდობიდან მოყოლებული და მონუსხული იყო ამ აზრით. სამყაროს სომეტრია (ამ ცნების ბერძნული მნიშვნელობით), მისი კონსისტენცია (ამ ცნების ედგარ პოსეული მნიშვნელობით) არაფრად აქცევს ჩვენს თავისუფლებას, არრდილის ბუნებას ამსგავსებს ჩვენს მოძრაობას და იმას, რაც ამ უკანასკნელს შეიძლება მოუხელთებინა. ნარცისის ნამდვილად გააკვირვებდა ამდენი მოუსაფარი სილამაზე და გზნება. ის წყაროს თავზე ირება, მაგრამ ვერ ხედავს მატერიას, არც წყლის ანმოყოფის ენიგმა აღაფრთოვანებს; იქ მხოლოდ საკუთარ დაფნისგვირგინოსან სახეებას და სხვა, უმინზო არსებობით დაქნიებულ ენიგმას აღმოაჩენს.

იმ დროს, როდესაც ერთადერთი რეალური ქმედება საკუთარ თავს მიღმა გაღწევა, ჩვენი არარსობის საამყაროსთან რამდენადაც შეიძლება მიახლოვება, ვალერისთვის ერთადერთი დასაშვებია ქმედება არის ყოველგვარი რეალური ქმედებისგან გამიჯნვა ჩვენი შეზღუდული ყოფის ღვთაებრივი გარის მისხლობით გამიფრდების მიზნით. სულ ძლი, უმოქმედო ძილი და წმინდა აქტისა თუ რაციონალური კანონის არსებობის შენარჩუნებაზე ოცნება უსახური ბატონი ტესტის, სამყაროს ამგვარი თვალთახედვით, ღმერთის შეუარებელ ხატებას წარმოადგენს. მის ჩაბნელებულ ნიშში მოკაიფე სანთელი ყოველივე არსებულთან არეკლილ ღვთაებრივი სინათლის სხივებს შეკრებს. თვით მისი არსებობა, მეცადრე მოქმედება, შექმნის ყოველგვარ სრვილს მოკლებულ თავისუფლებას, შემოქმედის ყოვლის მომცველ უძრავობას. რაოდენი სიდიადეა "კონების" ამგვარ ოპერაციებში! ამავდროულად, უტყუარა რომ ამ მოაზროვნე არსებას არაფერი აქვს სათქმელი, სიტყვები მისთვის არ არის შექმნილი. ჩვენი ეს იმ დროებას განეკუთვნება, რომელშიც გეომეტრია აღსრულებციის დამორდა, კანონზოიერების ძებნას ვეცნავდით აქვს საერთო სიტყვებთან, მეტიც, მათ უპირისპირდება, სამეტიყველო აქტი ერთ ჩვეულებრივ შემთხვევითობად იქცა, მაგრამ ოყოველივე შესწავლული ვალერიმ ვერ გაითავისა. იმის ნაცვლად, რომ ბატონი ტესტის დარად, არჩევანი დუმილზე (იმავე თავშეკეცებაზე, ანუ ალგებრაზე), შეიქმნებინა, ის საუბარს აგრძელებს. პოეზია მას ვეღარ აცვივრებს.

ის ტკბება ლექსის შეუცნობელი და მოუხელთებელი რეალობით; ცდილობს პოეტისთვის გამოყენებით იგი მეცნიერულ ქმედებებთან, ანდა ცოდნის საქმეებთან დაუტყვემდებაროს; ზოგჯერ კი სირცხვილნარევი გულმოდგინებით თანხმდება, იყოს პოეტი, რაშიც ილუზიის სკეპტიკური გემო, როგორც ყოველთვის, ხელს უშლის. მართლაც, რა შეუძლია მის თვალში პოეზიის ენას, მიბაძვისა და


შეცდენის გარდა? შესაძლოა, იგი კრავს კავშირს მშვენიერებასა და ქეშმარიტებას, კანონთა კანონის ამ ორ ასპექტს შორის? მაგრამ ფორმა, რომელიც ის მოეცემა - ლექსის მტანჯველი სახეა - არც ისე შეუცვლელია, ეს არა ერთ-ერთი შესაძლებლობაა ვარიანტების მოუხელთებელ გარემოცვაში, არამედ - მაცდური სატყუარა. პოეტური ქმნილება, ძველსისის ყურძნის დარად, უსხეულო სახეა, არარას რომ მოუძვდის არსათა სამყოფელში; საკითხავია, ზომ არ არის იგი "არ-არასი" ხრიკი, მზაკერობა, სურვილი, რომელიც თავს პოზიტიურ ძალად გვანჯენებს? აი, როგორ აიძულეს პოეტს საკუთარი ლექსი ბოროტი საქმის საშესაბურს. პოეტი კი, უსაქმური და გაქნილი, აღმოჩნდება ფიქრსა და მზეს შორის; ეშმაკეული ბუნების გველი, თუმცა აღბათ უფრო იმედგაცრუებელი, ვიდრე ბოროტი, - რა თქმა უნდა, ზედმეტად სერიოზულადაც რომ არ უნდა აღიქვა - შეჩენილი ჰყავს, ბოლომდე საკუთარ თამაშს თამაშობს, მოწყენილობით დატანჯული, ღვთის ქმნილებების ირონიულ ვარიანტებს "თითხის"; დოლეტანტი, შესაძლებლობათა დენდი, რომელმაც კარგად უნყის, რომ ზედმეტად დახვეწილ საცდურს მხოლოდ სისხლი და სიკვდილი მოაქვს, ანუ ყოფიერებაში დაბრუნება, მხარეში, სადაც მოხვედრა არ სურს. ვალერისთან არაფერი ისტრუქციულად მომწესგვლი. საკუთარი არსებობის რეალურობის სიმწირის ის არასაკმარისად გავნიცდის, ამიტომაც არ შეუძლია მის ნინაბომდე, ბაროკოს ხანის მოღვაწეთა მსგავსად, წარმოსახვილული მანქანება მიმართოს, ანდა ღვთის გამობნე მიჰყოს ხელი, მაგანთა მსგავსად, ყოფიერებას რომ ელოდავებიან და დასტორიან თავიანთ ნებასყუდელში.

პოეტური ამბიციის რა საოცარი დეკადანსია! თანამედროვე პოეზიაში - რელიგიური აზროვნების მთაწარმოებლობაზე რომ დებს თავს, - ამ სიღრმისეულ, თითქმის გამოცოცხლებულ ფრანგულ ენაში, - ბოლდერმა შეახსენა ადგილი, დაბეჭდული რომ ჰქონდა უცნობი იმერეთისთვის, ანდა კერძოდ ამ გამჯდული ქალისათვის, ამ გედისთვის, ტალახში ამოსვრილი სუროს ამ ფოთლისათვის, - ამ დეკორაციებსა და მოცემალობაში ვალერი განდგომილა, ახალი განმანათლებლობის ფილოსოფიოს, გონების სინათლეზე რომ საუბრობს, თავად კი - სხეულითა და გულით - არდილად ყოფნის სჯერდება. ისეც ის მახსენდება, 1944 წელს კოლუტ დე ფრანსში რომ უქმენდა: გრატიფიკური არსება, მოქნილი, თუმცა კი ამაო გონება, უფერული ფორმა, მკრთალი არდილები იმ დიალოგებისა, უკვე მაშინ არდილები რომ ჰგავდნენ. და ფიქრობ, რომ ის ჩვენს დროში ერთადერთი ქეშმარიტად დაწვეული პოეტი იყო; უმჯველ უბედურებასა და უბედურების წარმოსახვას შეფარებულს მაინც მისჯილი ჰქონდა იდეები, სიტყვები (მათი არაგრანძობადი მხარე), ცოდვა ნიუთონის სიყვარულისა, ამასთან უხე-ნავისი სიხარულისა და ცრემლების თავისებური წარწერა, პოეტური ქმნილების ხელის ერთი მისინთა რომ მოაცდლებს მისეულ დამეს. ამ სამყაროში ქეშმარიტი წვეული თამაშის დანაკლისა. ვალერის ლექსი, რომელიც არსებობს და მოქმედებს მხოლოდ მის-

თვის დამახასიათებელი წესებით, გარემოებისა და ცოდნის ეს ნაერთი, ჭადრაკის პარტია, რომელშიც არ წყდება ეშმაკობები იდეებისა თუ ექოს საშუალებით, - მხოლოდ წარმავლობაა და სვედა.

რა დაგვარა ვალერისგან? მხოლოდ ეს თამაში, რადგან ლიტერატურას მართლაც სჭირდება ამგვარი უარყოფითი აქტივობა, ენის ნიუანსებს რომ წარმოაჩენს, მოქნილ საშუალებებს (როგორც თავად ამბობდა) მოთმინებით რომ ამზადებს, რომლებსაც უფრო დაუდგომელი პოეზია ერთბაშად გახარჯავს. თუმცა, უფრო ახლოს იმასთან, რაც მნიშვნელობს, მეტად და მეტად ეცევა, განსაკუთრებით ზოგიერთ ლექსში, ჩემ მიერ ხსენებული წველის ჩრდილში. თითქმის გველი სთავაზობს ღმერთს "სველის ტროფეუს" და მისი საუბარი უფეროდ ისეთი სუფთა, წრფელი და გულმოდგინეა, რომ ღმერთის ეს ტროფეი სულაც არ ჩანს ცილასა, და ძავანთ გვეგიერება, რომ დიდება არსებობისა მიუღწეველია, და ამიტომაც გულგრილობა ბევრად ნამდვილი აღმოჩნდება, ვიდრე განდგომა, ანდა თავგანისცემა. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს "ზღვის სასაფლაოს", ვალერის საუკეთესო ლექსს, სწორედ იმიტომ, რომ მასში ორყოფიერა იგრძნობა. აქ, არყოფნის სამხრეთში, მხარეში, სადაც წმინდა გრძნობა და ფიქრების სინამდვილე ერთმანეთს უსასრულოდ ეთანადება, ფორმას მოკლებული რამ გამოკრთა. სინათლის სხვა ნახნავი, "იდუმალი ცვლილება", ამბობობდა ვალერი, "წუნი" დასაფუძნებელ სიმყარეს რომ ქმნის. და, რა თქმა უნდა, პინდაროსიუელი შესაძლებელი ამ აზრით იცვლის თავის მიმართულებებს. მაგრამ სასრულობის წყურვილისმომკვლელ ქმნად დარდს ვალერიმ ისე უფერული სვედა, მცხუნვარე რეალური არქია. ის თვალისმომჩქლე, დამარმანებელ სინათლეს დაუბრუნდა, მიძინებულ მგრძნობელობას, ქარს, რომელიც სულაც არაა ქარი... ამგვარი იყო დაშლულ, ფორმისეული ხელოვნების გამოცხადებაში. თავის ენაში, რომელიც მოკლებული იყო მუნჯ "ე"-ს - ამ კონცეპტებს შორის ნაპრალს, სუბსტანციის ნინათგრძნობას, ფრანგული ენის ამ არაჩვეულებრივ საშუალებებს - მისი ინტელექტი დიაგრამის, გამხდარი მოცეკვარის, ანდა სპექულატიური პიპოფიზის მონახაზს ხედავდა და არც კი წარმოედგინა, რომ ერთადერთი არსებული ფორმა ქვაა, თაღუნად ხიდად გადებული ნაპრალო-სა და ღამის თავზე. საჭიროა, ვალერი დავერწყათ. დაე, გესურდეს ფორმა ერთგვარი ორანტა იყოს, ახალი ორანტა ამგვარ თავისუფალი სახით, რომლის თეოლოგიასა და მეცნიერებას მიღმა აღმოჩენა ადამიანმა ვალად უნდა აღოს.

\* - "ვაკაკრიტიკე" კი ვალერი? მე იგი, მეჩვენება, სერიოზულად აღიქვა; ასეთი პატივი კი წმინდათა ძალიან მცირე რაოდენს შეიძლება ერგოს. და სწორედ ეს მცირედი არსებობენ ჩვენში. მათ წინააღმდეგ უხდა ვიბრაციები - ეს უნდა აგრანოთ - რათა არსებობა შევინარჩუნოთ. ეს პირადი ბრძოლაა. შესაძლოა, ეს სანაძლეოა, პარი - იმ სერიოზული მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას მივანიჭეთ.



## ივ ბონტუა

ფრანგულიდან თარგმნა ნიკოლოზ აგლაძემ

### თაყვანისცემა

I  
ტინტარსა და ქვევსა.

"შეცარ მათემატიკას". ცუდად განათებულ მატარებლებს, საღამოყაშსა. დათოვლილ ქუჩებს, ზღვარდაუდებელი ვარსკვლავის ქვეშ.

დავდიოდი, ვიკარგებოდი. სიტყვებს საკუთარი ხმების პოვნა უჭირდათ პირქუშ სიჩუმეში. - დამიმეცნა და მისწნელ სიტყვებს.

II  
"მწუხრის ღვთისმშობელს". ქვის დიდ მაგიდას, ბედნიერ ნაპირებთან. ნაკვალევებს, ჯერ რომ შეერთდნენ, შემდეგ - დაშორდნენ.

ზამთარს ოლტრ'არნო. თოვლსა და ამდენ ნაფხურს. ბრანკაჰის ტაძარს ღამით.

III  
კუნძულთა ეკლესიებს.

გალა პლასიდას. ვინრო კედლები, ჩვენებული ჩრდილი რომ ზრდის. ქანდაკებს ბალახებში; და, თითქოს, ჩემსავით უსახურებს.

სისხლისფერი აგურით ამოჭოლილ კარს, შენს ფასადზე, ვალიადოლიდის კათედრალს. ქვების წრეებს. შავი, მკვდარი მინით დატვირთულ კახოს.

აგლის წმინდა მართას, კანავეზეში. აგური წითელი და ბაროკოს სიხარულის ღალადით დაბერებული. ბეგებში ჩაფლულ, უკაცრიელ და ჩაკეტილ სასახლეს. (ამ სამყაროს ყველა სასახლეს, ღამეულ თავშესაფარს რომ გვაძლევს).

ჩემს სამყოფელს ურბინოში, რიცხვსა და ღამეს შორის.

სენტ-ივო დე ლა საპიენცას.

დელფოსს, სადაც დასაშვებია მოკვლე.

იმ ელაუსს, ფრანგიბოთა და შუმის დიდი სახლებით, ცას რომ ირეკლავენ.

რიმინის სკოლის მხატვრებს. ისტორიკოსობა მინდოდა თქვენეულ დიდებაზე დარდით. ისტორიის წაშლა მინდა თქვენის აბსოლუტურობაზე ზრუნვით.

### IV

და მარად: ღამის ბაქნებს, პაბებს, ხმას, რომელიც ამბობს: მე ვარ ღამპარი, მე ვარ ზეთი.

იმ მთავარი ენების ცეცხლში დანთქმულ ხმას. ნიკერჩხლის რუხ ღეროს. ცეკვას. ორიოდ, სულ ერთია, რომელ დარბაზს, ღვთაებებს რომ ინარჩუნებს ჩვენში.

## რკინის ხიდი

უფშეელი, ახლაც არის გრძელი ქუჩის,  
რომლითაც ბაგშეობაში დავდიოდი, ბოლოს ნავთობის ავზი,  
მძიმე ნარჩენების, ძარტკუთბედი შავი ცის ქვეშ.

მას აქეთ, რაც პოეზიამ  
თაღისი წყალი განაცალკევა სხვა წყლებისგან,  
არანაირი შვევებმა, აღარც ფერი შერწა,  
მისი სადარდო ოდენ რკინა და ღამეა.

ის ასაზრდოებს  
მკედარი ნაპირის სევდას, რკინის ხიდი კი,  
სხვა კიდევ უფრო ღამეულ ნაპირს ჩაჭიდებული,  
არის ეული მოგონება და ერთადერთი სიფარული მისი.

## სისხლი, ნოტი სი

გრძელი, გრძელი დღეები.  
დაუკოტედი სისხლი აღეღებს სისხლს.  
ბრმა მოცურავე.  
მუნამული სართულებით შენს გულისცემაში ჩადის.

როდესაც კეფა გეძაბება  
მოდან უდაბური სერილი ეუფლება ანკარა პირს.

ასე ბერდება ზაფხული. ასევე სიკვდილი  
აღყას დარტყამა ბოლმე მოკიფე აღის ბედნიერებას.  
და ოდენ წაუფიქრებთ. ნოტი სი  
ნითელ ქსოვილში უსამელოდ დიდხანს ეღერს.

## სალამო

მტრები ღურჯი და შავი.  
ხელი გზას ცის კიდისკენ იმრუდებს.  
სარეცელი, თვალუნდენელი და დამსხვრეული, ადიდებულ მდინარესავით.  
- შეხედე, მისალამოვებულა.  
და ცეცხლი საუბრობს ჩვენ გვერდით სალბის უსასრულობაში.

## ნიგნი, რათა დაბერდე

გადრეკილი ეარსკვლავები; და მწყემსი  
თაღად მოხრილი დაჰხარის მინიერ ბედნიერებას; და ესოდენი სიმშვიდე,  
თუნდაც დროგამოშვებით ამ შწერის ხმა,  
რომ ღარბი ღმერთი თავს გაიტანს. სიზუმე  
შენი ნიგნიდან გულისკენ ამოვიდა.  
ქარი სამყაროს ხმებში გზას უხმოდ იკვლევს.  
დრო შორიდან ილიმის, არსებობა შეწყვიტა.  
უბრალო ბაღარში მნიფე ხილი.


შენ დაბერდები  
და ფერს დაკარგავ ხეთა ფერებთან,  
ზანტ ჩრდილად კედელს დაედები,  
იუნები, ბოლოს და ბოლოს სულით, საფრთხეში ჩავარდნილი მინა,  
წიგნს იმ გვერდიდან გააგრძელებ, სადაც შეწყვიტე კითხვა,  
იზავი, ეს იყო უკანასკნელი ვერგატეული სიტყვები.

## ციკლიდან “ზაფხულის ღამე”

V

ზიცურავ, და გეჩვენება თითქოს დიდდება  
მთვარის მდინარე ხეების თავზე.  
იუნებ სიცოცხლე ტოკავს ტყეთა სარკეში,  
სამყაროებს რომ ირეკლავს.

მაგრამ არა, ტოტებში მნათობები იხლართებიან,  
გზებში - ოცნებები. ღამე ღოღია  
მდინარეს ხერგავს და წყალში ღაშლაპებს.  
ოთხ საათზე კი უკვე გარეშრათია.






სტივენ გრინბლათი

# შექსპირი ესენოფობიის წინააღმდეგ

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



ჩემი სტუდენტობის დროინდელი სამყარო სრულიად განსხვავდებოდა იმ სამყაროსგან, რომელშიც ახლა ვცხოვრობ და პედაგოგიურ საქმიანობას ვწევი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ იეილის კოლეჯი, რომლის სტუდენტიც 1961 წელს გახდი, მამაკაცთა საუფლო გახლდათ. იქ მხოლოდ ჩემ მიერ კოლეჯის დამთავრებიდან ხუთი წლის თავზე დაიწყეს გოგონების ჩარიცხვა. ჩემს თანაკურსელთა შორის მხოლოდ ერთი-ორი აზიელი, აფრიკელი და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული რამდენიმე სტუდენტი იყო. ძალზე იშვიათად ნახავდით აფროამერიკელ, ასევე - აზიურ ან ესპანურ წარმომავლობის ამერიკელ სტუდენტებს, თუ არ ჩავთვლით მდიდარი სამხრეთელი ოჯახების ორიოდ ახალგაზრდა წარმომადგენელს.

იეილი იმხანად პროტესტანტული და ჩრდილოამერიკული სულისკვეთებით გამსჭვალული უნივერსიტეტი გახლდათ, რომელიც უპირატესობას თეოტოკანიან სტუდენტებს ანიჭებდა. მიმღები კომისიისთვის ძნელი იყო აბიტურიენტთა შორის კათოლიკეების ამოცნობა, მაგრამ აშკარად ირლანდიური, იტალიური ან პოლონური წარმომავლობის ახალგაზრდებს ამრეზით უცქერდნენ, ხოლო ებრაელების მიმართ მოქმედებდა *numerus clausus*-ის დაუნერგელი კანონი<sup>1</sup>. და მთელი ეს საუნივერსიტეტო სისტემა ემყარებოდა უამრავ ტრადიციას, პრივილეგიებულობისა და ელიტარულობის აღმოსაფეროვ. სწრაფვას სამეცნიერო კვლევებისადმი ან წარწინებული სწავლისადმი ჩემი

1. რაოდენობის შეზღუდვა (ლათ.)





თანაკურსელები სასაცილოდ იგდებდნენ. ეს იყო ეგრეთ წოდებული „ჯენტლმენთა ეპოქა“. ყოველივე ამას ნოუ-შეივენიზმის ჩასვლიდან რამდენიმე დღეში მიუხვდი, მაგრამ ისიც ვიცდიდი, რომ იგილის ტრადიციებს ეერასოდეს შეგვეტუბოდი. ჩემს შშობილეს კოლეგებში არ უსწავლიდა. ბაბუიანებს, რომელიც მეძველმანე გახლდათ, არ პქონდა საკმარისი სახსრები, რომ მის ვაჟს (მამაჩემს) სწავლის თუნდაც მინიმალური გადასახადი დაეფარა. ბაბუასა და ბებუას ესმოდათ, რომ სწავლა აუცილებელი იყო, მაგრამ, ჯერ ერთი, ღარიბები იყვნენ და, ვარდა ამისა, მათი აზრით, ნებისმიერი განათლება აუცილებლად რელიგიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ჩემი წინაპრების კულტურულ სამყაროში ყველაზე მეტად ფასობდა არა სიმდიდრე ამ ძალაუფლება, არამედ - თაღმურის ცოდნა. ეს იყო ჩაკეტილი საზოგადოება, რომელიც სქესობრივი გადარჩევის - დარჩენის აზრით, ჭკუშნოვარა ეგოლოგიის ცენტრალური მამოძრავებელი ძალის შედეგად, საუკუნეთა განმავლობაში უპირატესობას ანიჭებდა გამხდარ, ამაღლებულ, ნელში მოხრდილ ახალგაზრდა მასწავლებელს, რომლებიც წინ და უკან ირნეოდნენ და ცდილობდნენ, ებრაული კანონის რთული, ვრცელკომენსტარებიანი, ხშირად ეზოთერული ტრაქტატების გახსნებას.

მაგრამ მე ამგვარად არ აღეზრდილვარ. ძველი ტრადიციების უმეტესი ნაწილი ბაბუამ და ბებუამ დატოვეს ცარიელ ლიტვაში, საიდანაც ათას რვაას ოთხმოციან წლებში ბოსტონში გადასახლდნენ. მაგრამ თაღმურის მძიმე ტომებმა მათ სულებში დატოვა ერთგვარი ლექი - მეგვიდწერობით შეთვისებული პატივისცემა ტექსტების ინტერპრეტაციისადმი, რომელიც - უკვე სეკულარიზებული ფორმით - გამოვლინდა ჩემს ინტერესში შუამანიტარულ მეცნიერებების და, კერძოდ, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მიმართ. იგილის უნივერსიტეტში სწავლის დროს მაკვირვებდა ბევრი ჩემი თანაკურსელის უცნაური გულგრილობა ამ სფეროს მიმართ. 1904 წელს ჰენრი ჯეიმსმა, ნოუ-იორკის იმიგრანტებზე დაკვირვების შედეგად, სინანულით აღნიშნა, სულ უფრო მეტი უცხოტომელი იპყრობს მძალად ინტელექტუალურ მწვერვალს. თავი უცხოტომელად არ მიმაჩნდა - მეც და ჩემი მომხლებიც ამ ქვეყანაში დავიბადეთ. ამიტომ ყოველგვარი უხერხულობის გრძნობის გარეშე ვატარებდი იგილის სტუდენტების ტრადიციულ სიტყვებს - მაგრამ თავდაუზოგავად ვენაფებოდი მეცნიერებას და ამგვარი ენერგია, ზოგიერთის აზრით, მხოლოდ უცხოტომელებისთვის იყო დამახასიათებელი.

პირველ კურსზე განსაკუთრებით ინტენსიურად ვსწავლობდი ინგლისურ ლიტერატურას. სემესტრის დამთავრების შემდეგ პროფესორმა შემომთავაზა, მისთვის ასისტენტობა გამეძინა და მის მიერვე ახლახან დაწესებული ნიუგის ტერმინთა ინდექსი შემეძგინა. მაშინვე დავთანხმდი. იმხანად ასეთი ნების იყო - პროფესორთა ასისტენტებს გან-

ცხადებები უნდა შეეტანათ სტუდენტთა ფინანსური დახმარების განყოფილებაში. ჩემი ნიუგისში ზი მელოდა.

- გრინბლადი ხომ ებრაული გვარია? - მეითხა განყოფილების თანამშრომელმა. დავეთანხმე.

- გულწრფელად გითხრათ, - განაგრძო მან, - აქ უამრავი ებრაული სტუდენტი მოდის და ცდილობს, ფული დაცინცლოს იგილის უნივერსიტეტს.

გაოცებისგან ენა დამება. შემდეგ ბორძიკით ვკითხე, თქვენს შეხედულებას რატომ განაზოგადებთ-მეთქი.

- კარგი, მისტერ გრინბლად, - მიპასუხა მან. - რას ფიქრობთ სიცოცხლეების შესახებ?

ვუპასუხე, რომ არც ერთ სიცოცხლეს არ ვიცნობდი.

- ჯ. ედგარ ჰუვერს, - თქვა მან და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის სიტყვები გაიმეორა: - აქვს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ სიცოცხლეები პოტენციური ავანზურები არიან. ზუსტად ასევე, - განაგრძო მან, - იგილის უნივერსიტეტს აქვს სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, რომ უამრავი ებრაული სტუდენტი ცდილობს, მიიღოს ფულადი დახმარება იგილის უნივერსიტეტისგან სამეცნიერო კვლევათა ასისტენტების სანაცვლოდ.

და დასძინა:


- შეგვეძლოს მთელი უნივერსიტეტი დაგვემოპლევტებინა ბრონქსის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებით, მაგრამ ხომ ხედავთ, ასე არ ვიმეტოვით.

ბორძიკით აფუხსენი, ნიუტონის (მასაჩუსეტსის შტატი) საშუალო სკოლა დაეამთავრე-მეთქი, და სწავფად გავედი.

ამ საუბარმა გამაოგნა. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ამის შესახებ აღფრთოვნიტა და გაციებით ვისხენენ მას. ამასთან, აფროამერიკელი სტუდენტები, ებრაელებთან შედარებით, გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყვნენ, ახლა კი მათ სხვა ეთნიკური ჯგუფები და რელიგიები ჩაენაცვლნენ. იმ დროს განსაკუთრებით მანუხებდა ის, რომ ამ შემთხვევაში, ერთგვარად, დადასტურა ჩემი მომხლებების შიში, რომელიც ბავშვობისას აბსურდული, მოძველებული და პროვინციული მეგონა. მათი წარმოდგენით, არსებობდა ორი სამყარო: „ჩვენი“ და „მათი“. ჩემი მომხლები ისე ცხოვრობდნენ, თითქოს სამუდამოდ ჩაკეტილიყვნენ თავიანთ ეთნიკურ გეგტოში.

ფინანსური დახმარების განყოფილებაში ჩემი ვიზიტდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ იგილის ენია უდიდესი თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ტ.ს. ელიოტი. მისი ჩამოსვლის მოლოდინში ევლავდი და

2. ბრონქსის მეკიდრთა ნახევარზე ოდნავ მეტს სამხრეთამერიკელები შეადგენენ, შესაძლოა - აფროამერიკელები, მგაოდეს - თურთქიანი ამერიკელები, სამხრეთამერიკელები - აზიელები, დანარჩენს - სხვა რასების წარმომადგენლები.



გატაცებით ეკითხულობდი (და დღემდე ეკითხულობს) ელიოტის ნაწარმოებებს. მაგრამ ელიოტის ადრეულ პოეზიასა და პროზაში მალევე წაეჩანა ანტისემიტური გამოვლინებები, რომლებიც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო კონსერვატიული წრეებისთვის. „მოსახლეობა ერთგვაროვანი უნდა იყოს, - განაცხადა ელიოტმა ვირჯინიის უნივერსიტეტში 1933 წელს (სწორედ იმ წელს, როდესაც პიტლერმა ძალაუფლება ხელთ ჩაიგდო და როდესაც გამოამკარავდა ლტოლვილთა მასობრივი ემიგრაციის აუცილებლობა, რაც მზარდი საღრთობით იყო ნაკარნახევი) - იქ, სადაც ორი ან მეტი კულტურა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თანაარსებობს, ისინი ან განადგურდება, ან თავიანთ ორიგინალურ სახეს დაკარგავს“. შესაძლოა, იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში უკვე თანაარსებობდა „ორი ან მეტი კულტურა“, ელიოტმა დაამატა: „კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რელიგიური ერთგვაროვნება. რასობრივი და რელიგიური სხვაობა ის მიზეზებია, რომელთა გამო თავისუფლად მოაზროვნე ებრაელთა მზარდი რაოდენობა ჩვენთვის მიუღებელია“.

ელიოტის ადრეულ პოეზიაში მისი თვალსაზრისი საკმაოდ ნათლად ელინდება. ლექსში „ბერბანკი ზედკერძი: ბლახისტაინი სიგარით“ ის წარმოიდგენს პირველყოფილ „ბულიონს“, საიდანაც გაჩნდა სიცოცხლე:

თითქმის კანაღდოსეულ პერსპექტივაში

ეჭვრეტ,

როგორ გამოეყო უტიფარი და

გადმოკარკლული თვალთ

პირველყოფილ ლორწოს.

ღროსი სანთელი ჩაიწვა. ახალი რა ამბავია

რიალტოზე?

ხიდის ბურჯებზე ვირთხები დაძრწიან.

კაცობრიობის ფსკერზე ებრაელები

დაფუთუფუტებენ.

პირველ კურსზე წავიკითხე „ვენეციელი ვაჭარი“, რომელშიც მეორდება შეკითხვა: „ახალი რა ამბავია რიალტოზე?“ ამ პიესას და ტ.ს. ელიოტის ნაწარმოებებს ერთდროულად გავცეკანი და ამის შემდეგ კიდევ უფრო ტრაგიკულად აღვიქვამდი ჩემი მშობლების მოგონებებს წარსული ამბების შესახებ.

ძალზე უცნაური გრძნობები გეუფლებათ „ვენეციელი ვაჭრის“ კითხვისას, როდესაც წარმოიდგენთ ამ ცბიერი პერსონაჟის ხასიათსა და ქმედებებს; გეცინებათ, როდესაც შაილოკის მსახური, მსახარა გობო, ხედავს, როგორ ვარბის მისი ძუნწი ბატონი; როდესაც შაილოკის ასული, ჯესიკა, მამისეულ სახლს ტოვებს და აცხადებს: „ისევ ჩემი ქმარი თუ დამიხსნის: აკი ქრისტიანად მომაქცია“; შიში გიპყრობთ, როდესაც შეუბრალეული შაილოკი დანას თავისი ფეხსაცმლის ლანჩაზე ღესავს; სიხარულს გრძნობთ, როდესაც საზრიანი პორცია მოიკონებს ოურიდიულ ფანდს, რომლის წყალობითაც შაილოკის ავებდით ზრახვებს



გაცემბერებს. ებრაელი, რომელიც კანონს ფორმალურად იცავდა, სწორედ სწორედ იმის წყალობით მარცხდება, რომ კანონი ფორმალურად იქნა დაცული; ეს ისაა, რასაც ლიტერატურულ მართლმსაჯულებას უწოდებენ. მიუხედავად ამისა, ერთგვარ შეუსაბამობას გრძნობთ.

მაინც, რას უკრავთ ტაშს და რაზე გეცინებათ? განა მოსაწონია ქვევა ებრაელი ასულისა, რომელმაც მამამისი გაქურდა და ფული თავის ქრისტიან ვერცხლმცვერე თავყვანისმცემელს გადასცა? განა მოსაწონია საქციელი ქრისტიანებისა, რომლებიც დასცინიან და აფურთხებენ ებრაელს? ან იქნებ ფარულად ამართლებთ მათილიკის მურისმადილურ ბოროტებას? რას გრძნობთ სასამართლოს სცენის დროს, როდესაც პორციკა ეკითხება ადამიანს, რომელსაც ეშმაკობით აჯობა და დაამარცხა, ეთანხმები თუ არა ჩემს პირობებს? პირობებს, რომელთა ძალითაც ის ქრისტიანად უნდა მოწაილულიყო? „ჰა, ებრაელი, კმაყოფილი ხარ?“ - დაფიქრებით კითხულობს პორციკა. - არაფერს იტყვი?“. თქვენი აზრით, რას ფიქრობდა ებრაელი, როდესაც პასუხობდა პორციკას, კმაყოფილი ვარო?

სტუდენტობისას ამ საკითხების მიმართ მყარი პოზიცია მეკავა: არაფრის დათმობას არ ვაპირებდი ღინასური განყოფილების ფანატიკოსი თანამშრომლისთვის, მაგრამ ჩემი მშობლების პასუხობდა არ მხიბლავდა. არ მხიბლავდა შემეცნება ან დამეცნება ჩემი განსხვავებულობა, არ მსურდა ჩვეთვალუთ იმად, ვინც არ ვიყავი. არ მსურდა უარი მეთქვა იმ ნაწარმოებების კვლევაზე, რომლებსაც შეიძლება გული ეტკივნოდა ჩემთვის. ამიტომ დავაპირე, შეძლებისდაგვარად შემეცნაველა კულტურის უზარმაზარი ქოთნის კორპუსი.

ახლა ინგლისური ლიტერატურის პროფესორი ვარ პარიზში. ბოლო წლებში ჩემს ბევრ სტუდენტს აღმოვაჩინებდი ვამჩნევდი, როდესაც ვესაუბრებოდი იმ არაპუმანური თვალსაზრისების შემთხვევაში, რომლებიც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთ ნიმუშშია გამოთქმული. ამის გამო ზოგჯერ სურვილი მიჩნდებოდა, დამეხურა და ბოლომდე არ წამეკითხა ბევრი დიდებული ნიგანი. ან გამეზიარებინა ჩემი მშობლების მელანქოლია. როდესაც ისინი ჩვენი ავტომანქანის ფანჯრიდან თვალუწვდენელ ველებს უცქერდნენ, სიწინაულის ამბობდნენ ხოლმე, რომ აქ ევროპიდან დევნილი უამრავი ებრაელის დასახლება შეიძლება (ამიტომ ჩემს მშობლებს ველებს ხილვა ყოველთვის სევდას აღუძრავდა). მაგრამ საკუთარი თვალსაზრისის გაფართოება უფრო მიზნადვდა, ვიდრე - მათი პასიური მსოფლალქმა. ზოგჯერ, როდესაც იყილის უზარმაზარი ბიბლიოთეკის ნიგნებში ვიქცეობოდი, აღგზნებისგან თავივარ მცხეწეოდა. იქ შექაძლებლობა მქონდა, გამეკვია - რა თქმა უნდა, შეძლებიდაგვარად - და გამეზარებინა ის საკითხები, რომლებიც ესოდნე მტანჯავდა.

იმხანად მხოლოდ ბუდოიზმად ვხვდებოდი იმას, რაც ახლა კარგად მესმის: ჩემი განცდები (ერ-

თდროულად დაბნეულობა, სიამოვნება და უკმაყოფილება) იყო მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტი - რომლის წყარო გახლდათ რელიგია, ოჯახი, წარმოშობა და ეპოქა - იმ განცდებისა, რომლებიც უჩნდება ყოველ მოახროვებ ადამიანს ცხოვრების განმავლობაში საფაროსა და კულტურის მიმართ: ყველაფერი, რასაც მემკვიდრეობით ვიღებთ სამყაროში - ყოველივე ის, რაც ჩვენ არ შეგვიქმნია და რაც გვექმნის ჩვენ, ერთდროულად ბინიერცა და მშვენიერიც. ეს განსხვავება კარგად უნდა გავიაზროთ, ღვარძლი იფქვს განა უნდა გამოვყოთ.

საქმე ისაა, რომ ამქვეყნად არასრულყოფილნი ვიბადებით; ჩვენი, როგორც პიროვნებების სრულქმნა ხორციელდება იმ კულტურის ათვისებისას, რომელიც ასეულობით ათას წელს ითვლის. ის კი გარდაუვლად შეიცავს ბევრ რასმე უარყოფითს და, ასევე, დადებითს. ვერაფერი აარიდებს თავს ამ ზეგავლენას - ვერც ებრაელი, ვერც მამადიანი, ვერც მადიო, ვერც დიდგაროვანი, ვერც ის, ვისი წინაპრებიც ამერიკაში „მედიალური“ ჩამოვიდნენ და ვერც ის, ვისი წინაპრებიც ინდიელები ან ლაპალადიელები იყვნენ. და ჩვენ, ყველაწი, განწირულნი ვართ იმისთვის, რომ ერთდროულად დადებითი და უარყოფითი თვისებების მქონე არსებები ვიყოთ. იმიტომ, რომ ადამიანები ვართ. რა თქმა უნდა, ესეურობა ამ რთული მემკვიდრეობის ნაწილია, მაგრამ ის, ეჭვგარეშეა, იმავე ინსტინქტიდან მომდინარეობს, რომელიც აიძულებს შიმპანზეებს, თავს დაესხან სხვა ტომების წარმომადგენლებს და დახოცონ ისინი. მაგრამ ეს მემკვიდრეობა გარდაუვალი და საბედისწერო როლია. თვით იმ ზუთიათაასწლიანი ისტორიის მანძილზე, რომლის შესახებაც მიახლოებით ნარმოადგება გვაქვს, შეგვიძლია დავუკვირდეთ საზოგადოებებსა და ინდივიდებს ერთგვარ თამაშს, როდესაც ხან ბუნება გვმართავს, ხან - კულტურა, ხან კი - ორივე ერთად.

მეჩვიდრეტ საუუენის ვენეციაში გამოქვეყნდა ბერძნული პოემა, რომელშიც აღწერილი იყო თავგადასავალი მდიდარი ებრაელი ქალიშვილისა, რომელსაც დატყა ბერძენი მართლმადიდებელი საბაზი შეუყვარდა. ქალიშვილმა მშობლების სახლი დატოვა, ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და თავის შეყვარებულზე გათხოვდა. პოემაში ანტისემიტურად განწყობილი ქორი სასაცილოდ იგდება ქალიშვილის დედას, რომელიც დარდისგან შემოღება. მეჩვიდრეტ საუუენის სომეხმა პოეტმა, იერემია ჩელეტი კომპოზიციანა, რომელიც თურქეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გამოიყენა ეს სიუჟეტი, თავისი პოემისათვის; სახელწოდებით „ებრაელი პატარასალი“. მოქმედება სტამბოლში ხდება. კომპოზიციანის პოემის მთავარ პერსონაჟს, ებრაელ გოგონას, მრკადას, შე-

3. კომპოზიციანმა თავისი პოემა დაწერა თურქულ ენაზე, მაგრამ - სომხური ანბანით.



უყვარდა ალბანელი ქრისტიანი ქაბუკი დიმიო და მონინდომა თავი დაესხნა ებრაული სამყაროს მკაცრი კანონებისგან: „ჩემი სანალი მონაღლულია, სამშობლო კი - საპყრობილეა“. გოგონა ღამით გაიპარება მამის სახლიდან, მამაკაცის სამოსს გადაიცვამს და ქუდქვეშ დამალავს თავის ოქროსფერ თმას. შეყვარებულები თავს დადანევენ მდეურეებს და ჩავლენ ვლახეთის ქრისტიანულ სამთავროში, სადაც მრკადა საჯაროდ მიიღებს ქრისტიანული სარწმუნოებას:

გოგონამ, რომელსაც უწოდეს უბიწო სოფია.  
უარყო სულელური ებრაული რელიგია.

ამ ვერსიაში, ისევე, როგორც ბერძნულ წყაროში, მტირალ ებრაელ დედას დასცინის ქრისტიანი ქალიშვილების გუნდი, რომელიც სთავაზობს ქალს, წარმოადგინოს თავისი შვილიშვილი:

შენი ასული უკვე ფეხმძიმეა.

მაღე გეყოლებოა შვილიშვილი -  
ნარევი სისხლის მქონე პატარა ალბანელი.

ლურჯთვალა იქნება, მაგრამ  
საბით უფრო ებრაელს ემგებება,  
იტყვით, საზნადარო აღქავე!

უცნაურია, მაგრამ შემდეგ ძირითადი ყურადღება ეთმობა დედის მწუხარების გადმოცემას:

მკერდიდან მომწყვდის ჩემი ერთა,  
ჩემი ასული, უნაზესი ყვავილი,  
ჩემ უმედური, ახლა უშვილო დედად ვიქცე,  
...ოჯახი დამენგრა, ზეცა ჩამოიქცა,  
სამყარო საპყრობილე მექცა და  
ჩემს მწუხარებას ყველა აბუჩად იგდება.

სწორედ დედის სასონარკვეთილებითა და სიკვდილით, რომელიც თანაგრძნობითაა გადმოცემული, მთავრდება ეს პოემა.

გაუგებარია, რატომ შეცვალა იერემიამ ამბის დასასრული. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მან პოემის ბოლო ნაწილი გამოაზტა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, ზოგადად, სარწმუნოების შეცვლის, და, კერძოდ, ქრისტიანთა გამაჰმადიანების მიმართ. იერემია ჩელიტი კომპოზიციური იყო ნიჭიერი პოეტი, რომელმაც თავისი ცხოვრება მრავალეთნიკურ ქვეყანაში გაატარა და შექმნა შესანიშნავი პოემა.

მარშან შესრულდა ზოთასი წელი ეენეციის გეტოს დარწმუნება. ვენეციელებმა არ იცოდნენ, უნდა აღენიშნათ თუ არა ეს თარიღი და მათი დაბნეულობის მიზეზი სრულიად გასაგებია. 1516 წლიდან მოყოლებული, ებრაელებმა, რომლებსაც უწინ შეეძლოთ ქალაქის ნებისმიერ ნაწილში ცხოვრება, მოსთხოვეს, რომ ეცხოვრათ და საღვთო რიტუალები აღესრულებინათ მომცრო, ღარიბულ რაიონში, ყოფილი სპილენძის სამამულო ქარხნის ტერიტორიაზე (ვენეციურ დიალექტზე სამსმელოს „გეტო“ ეწოდება). მათ ნება დართეს, გაეხსნათ ლომბარდები, სადაც ფულს გარკვეული სარ-

გებლით გაასესხებდნენ; რამდენიმე სამსმელოს ანობის - ძველი ტანსაცმლის ყიდვა-გაყიდვის სტამბებში ებრაული ნიგნების ზეჭდვის, მუსიკა და ცეკვის სწავლებისა და სამედიცინო საქმიანობის უფლება მისცეს. მაგრამ საღამოს ებრაელები აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყვნენ გეტოში, რომლის ჭიმკარი ღამით იკეტებოდა და რომლის ყარაულთა ჯვამგირიც თვით ებრაელებს უნდა გადაეხადათ. ებრაელ ქიმებს შეეძლოთ ღამით გამოეულიყვნენ გეტოდან, რათა მომსახურებოდნენ ქრისტიან პაციენტებს; ყველა სხვა პროფესიის ებრაელებს დილაშე გეტოდან გამოსვლა ეკრძალებოდათ.

ალბათ, არ ღირს ამ თარიღის აღნიშვნა ოდესმეურ საუკუნეში, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გეტოს დაარსებამ ჩამოაყალიბა ერთგვარი მოდუსი ვენეციის, რომელიც ვენეციელებს საშუალებას აძლევდა, ეცხოვრათ არც ისე სასურველი, მაგრამ სასარგებლო მეზობლის მახლობლად. თუმცა, იმას, რომ ებრაელები სასარგებლო მეზობლები იყვნენ, ყველა როდი აღიარებდა. იმხანად იტალიასა და სხვა ქვეყნებში მოხეტიალე მქანდაგელები მოუწოდებდნენ ხალხს, განეფენათ ებრაელები, როგორც ეს მოხდა ვენეციაში და პორტუგალიაში, რამდენიმე საუკუნით ადრე - ინგლისში. მოგვიანებით მარტინ ლუთერი გერმანიაში აქიუზებდა პროტესტანტებს, გაეზოგურებინათ სინაგოგები, ებრაელთა სკოლები და სახლები, დაეწვათ ებრაული სალოცავი ნიგნები. იმ დროს, როდესაც გეტო შეიქმნა, ბევრს კარგად ახსოვდა, როგორ დააბანაშაულეს სამი ვენეციელი ებრაელი ქრისტიანთა რიტუალურ მკვლელობაში (რაც ებრაელებმა, ვითომდა, ქრისტიანულ სისხლის მოპოვების მიზნით ჩაიდინეს) და, ამ სრულიად ფანტასტიკური ბოროტმოქმედის გამო, კოცონზე დაწვეს. ვენეციის ბაშია ებრაელთა ჩაქეტვა მეტ-ნაკლებად იცავდა მათ იმ პარანოიდალური შიშით შეპყრობილი ადამიანებისგან, რომლებთანაც მათ დღისით შეჰქონდა ურთიერთობა. გეტო კომპრომიზული წარმონაქმნი გახლდათ - ეს არ იყო არც ასიმილაცია, არც განდევნა, არამედ - უკიდურესი ამბივალენტობის ტოპოგრაფიული გამოხატულება.

შეიძლება, შექმნარმა იცოდა ყოველივე ამის შესახებ, როდესაც თავის კომედიას წერდა; ამ დროისათვის გეტო უკვე ოთხმოცი წლის განმავლობაში არსებობდა, ვენეციას კი ბევრი ინგლისელი მოგზაური სტუმრობდა. არსებობს იმის საბუთები, რომ დრამატურგი ცდილობდა, თავის პიესაში მაქსიმალური სიზუსტე დაეცვა. მაგალითად, მისი ებრაელი პერსონაჟები არ იფიცებენ მუჰამედს, როგორც ამას ანადიოდნენ მეოთხეთ-მეტე საუკუნის ინგლისელი დრამატურგთა ებრაელი პერსონაჟები. შექმნარმა კარგად იცოდა არამარტო ის, რომ ებრაელთა კანონები კრძალავდა ღირის ბორცის გამოყენებას კერძებში, არამედ - ისიც, რომ კანონიერი ებრაელებს ღირის ბორცის სუნაც კი სძავდათ. მან შესანიშნავად გეიყუ-

მა, როგორ იყენებდა ებრაელი მეფეებზე ბიბლიას, რათა მახვილგონივრულად გაემართლებინა თავისი საქმიანობა. შესაძლებელია ისიც იცოდა, რომ სწორედ რიალტოს ხიდზე შეიძლება ახალი ამბების შეტყობა და ვაჭრობა. ამიტომაც, რომ შაილოკი ესოდენ მწირად ასხენებს რიალტოს.

მაგრამ შექსპირს, შესაძლოა, არ აინტერესებდა ის ფაქტი, რომ ვენეციაში გეტო არსებობდა. და თუ იცოდა გეტოს არსებობის შესახებ, მის ყურადღებას იმყრობდა არა ებრაელთა იზოლირება ქრისტიანებისგან, არამედ - მათი ყოველდღიური ურთიერთობა. შაილოკი ამბობს, რომ ის არასოდეს შეჭამს, დალევს ან ილიცებს ქრისტიანებთან ერთად, მაგრამ ჩამოთვლის ქრისტიანებთან თავისი ურთიერთობის სახეობებს: „მე შემიძლია ვიყიდო თქვენგან, მოგყიდოთ თქვენ. ვილაპარაკო თქვენთან. გავიარო თქვენ გვერდით“, ამბობს ის. მაყურებლისთვის ინგლისში - ქვეყანაში, რომელმაც მთელი თავისი ებრაელი მოსახლეობა 1290 წელს განდევნა და დაბრუნების უფლება არ მისცა - ამგვარი ყოველდღიური ურთიერთობები მართლაც ახალი ხილი იყო.

„იტალიის ისტორიაში“ (1549 წელს) (ეს იყო ამ თემაზე დაწერილი პირველი წიგნი) უილიამ ტომასი თავის ძირითად თემას გვერდს უხევებს და საუბრობს იმის შესახებ, რასაც უწოდებს „უცხოტომელთა თავისუფლებას“, კერძოდ, ვენეციაში: „აქ არც ერთი ადამიანი არ ერევა სხვის საქმეებში ან... სხვის ცხოვრებაში. თუ პაპისტი ხარ, არავინ გაითხავს, როდის მარხულნი და როდის - არა. თუ ევანგელისტი ხარ, არავინ გავიციცხავს, რომ კა-

თოლიკურ ეკლესიაში არ დადიხარ. თუ ებრაელი ხარ (და სხვებს არ მოუწოდებ შენი რწმენის გაზიარებისკენ), არავინ ეცდება შენი თავისუფლების შეზღუდვას. ასე რომ, აქ არავინ მოგაყენებს შურისძიებულად, თუ თვითონ არ შეურაცხყოფ ვინაღ. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომლის გამოც ვენეცია იზიდავს მრავალ უცხოტომელს...“.

ამის საპირისპიროდ, რენესანსიდან დაწყებული ლონდონში აოგნდება უცხოელებს ინგლისელთა ქსენოფობიით. „უცხოელებს ლონდონში არა მარტო არ სწავლობენ, არამედ სძულთ კიდევ ისინი. ამიტომ საქმარისად კეთილგონიერი უცხოელები ცდილობენ, რომ ლონდონში ინგლისური ყაიდის ტანსაცმელი ატარონ, რომ ადგილობრივ მკვიდრთაგან არ გამოირჩეოდნენ“, - წერდა ვენეციის საელჩოს კამერლანი ორაციო ბუზინო თავის დღიურში, - „ხოლო ხალხისას უმთავრესად ფესტიკულაციას მიმართავენ და ამ გზით თავიდან იცილებენ სხვადასხვანაირ საფრთხეს“.

ელისაბედის ეპოქის მოღვაწეთა აზრით, ვენეცია უჩვეულოდ კოსმოპოლიტური ქალაქი იყო. ამიტომ შექსპირი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ შაილოკს შეიძლება იზოლირებულ გეტოში ეცხოვრა; ამის ნაცვლად ის წერს, რომ შაილოკის სახლი მდებარეობდა „ხალხმრავალ ქუჩაზე“. თუკი ებრაელი ქალიშვილი არ დაკეტავდა კარს და არ დახურავდა დარბაზებს, ის დაინახავდა ნიღბ-

4. ვენეციის საელჩოს კამერლანი ლონდონში.





ბიან „ბრიყვ ქრისტიანთა მსვლელობას და გაიგონებდა დაუდგოვს სმას და საზარელ ჭყიპინ-წოპინს იმ მოღრეცილი საყვირისა!“ და, როდესაც პიესიდან ვიგებთ, რომ შაილოკი უხალისოდ გამოვიდა ღამით თავისი სახლიდან, რათა ქრისტიანებთან ერთად ევახშა, ვხვდებით, რომ დრამატურგმა, როგორც ჩანს, არ იცოდა: ებრაელ მევახშეს რეალურ ცხოვრებაში ამისთვის საგანგებო ნებართვა დასჭირდებოდა. ინგლისელებმა ამგვარი ნებართვების საჭიროების შესახებ არაფერი უწყობდნენ; ეს ნებართვები ვენეციელთა მიერ ქსენოფობიური მემკვიდრეობის მერბილების მცდელობათა შედეგი გახლდათ.

თუმცა შექსპირს, შესაძლოა, არ მოეპოვებოდა სათანადო ცნობები გეტოს შესახებ, მაგრამ ისიც ცდილობდა, დაეძლია ქსენოფობიური მემკვიდრეობა. პიესის სიუჟეტში ის იცავს იდეას კონონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ. ვენეცია, როგორც კომერციული ცენტრი, რომელსაც მრავალი საჯარო პარტნიორი ჰყავდა, დამოკიდებული იყო „უცხოტომელთა თავისუფლებზე“. საკუთრების უფლების დასაცავად და ნდობის შესაზარწუნებლად ვენეციის სამართლებრივი სისტემას უნდა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულებების სახელმძღვანელოება როგორც ქრისტიანთათვის, ისე - არაქრისტიანთათვის, როგორც საკუთარი მოქალაქეებისთვის, ისე - უცხოტომელთათვის. ებრაელი შაილოკი ფორმალურად სრულუფლებიან პირივლებად გვევლინება სასამართლოს სცენაში. როდესაც მსაჯულად გადაცმული პორცია შედის სასამართლოს დარბაზში, რათა გამოიტანოს გადახვეტილება ანტონიოს და შაილოკის საქმესთან დაკავშირებით, ის კითხულობს: „რომელი არის აქ ვაჭარი? ან ებრაელი?“. მართალია, ეს რეპლიკა ხშირად სიცილს იწვევს, მაგრამ, იურიდიული თვალსაზრისით, აამკარავებს სასამართლოს მიუკერძოებლობას.

შაილოკი შეუპოვრად იცავს თავს. „თქვენ ხომ ნაყიდი მონები გყავთ“, - ამბობს ის სასამართლოს; - „აჰ როგორც ვირებს, ვით ჯორებს თქვენსას, ან თქვენს ძაღლებს, აკეთებინებთ დამამკირებელ მოწერს საქმეს“. ეს სიტყვები აბოლიციონისტური მანიფესტის დასაწყისის წაგავს:

ნებაც გაკეთ ამის,

რადგან ისინი ნაყიდი გყავთ და გითხრათ განა: ათავისუფლოთ, მიათხოვეთ თქვენი ქალები! რად აღერევიან ტვირთის ქვეშ ოფლს?

მათაც თქვენსაკით

რბილი ლოვინი გაუშალოთ.

მაგრამ აქ მთავარი მონობისგან

განათვისუფლება როდია:

თქვენ მიასუხებთ: ის მონები ჩვენ

გამკუთვინისო.

მეც ნაგვარივით პასუხს გაძლევთ: გირებაზე

ხორცი

რომელსაც ახლა მავასა ვთხოვ, ძვირი

დამოკვდა.

სამართლებრივ პრინციპს, რომელსაც იცავს შაილოკი, საერთო არაფერი აქვს ადამიანის უფლებების პატივისცემასთან. ესაა მხოლოდ საკუთრების დაცვა.

ამასთან, ებრაელები მაინც საგულდაგულოდ შემოზღუდული სფეროს მკვიდრნი არიან, რომლის გარეთ ქრისტიანებსა და მათ არ აკავშირებს ურთიერთნდობა, საერთო ფასეულობები და თანასწორობა. როგორც კი ფორმალური იურიდიული საკითხი სამოქალაქოდან ასპექტიდან კრიმინალურ ასპექტზე - ესე იგი, ებრაელის მცდელობაზე, მოკლას ვენეციელი ქრისტიანი - იწაცვლება. შაილოკი სასამართლოს მიერ აღარ განიხილება, როგორც ანტონიოს თანასწორი პიროვნება. ამას ნაცვლად, ამკარავდება, რომ საზოგადოება მას უცხო ელემენტად მიიჩნევს.

„ვენეციელ ვაჭარში“ ურთიერთშემწყნარებლური დამოკიდებულების პერსპექტივა არ ჩანს ქალაქის ჭუჭმაში და იურისდიქციის არეხაზე ორი რელიგია სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის ერთმანეთს. შაილოკი ცდილობს, შეაღებოს გააზრებული კანონისა და თამასულის პირობათა ფორმალურად დაცვის მეშვეობით დადამარცხოს თავისი ქრისტიანი მტერი; პორცია კი აბერებს ებრაელი მევახშის დამარცხებას კანონის კიდევ უფრო შედარსებად გააზრების წყალობით. კომედიის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ფული, სექსუალური ლტოლვა, კანონი - და არა უშუალო ძალმომრეობა - საბოლოო ჯამში, საკამისია, რათა გარემომცველმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ მოახდინოს უცხოელთა (ყოველ შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი რაოდენობის) ასინილიცია. მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების მიღებას - შაილოკის ქალიშვილის შემთხვევაში, მის გათხოვებას ქრისტიანულ ან, შაილოკის შემთხვევაში, მის იძულებით (სასჯელის შიშით) გაქრისტიანებას - შეუძლია დაძლიოს სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა ურთიერთსიძულვილი და თავიდან აარიდოს სისხლისღვრა. ამიტომ „ვენეციელ ვაჭარს“ ვერ მივიჩნევთ განმანათლებლურ ლიტერატურის ნიმუშად. რა თქმა უნდა, მასში არც საუკუნეობრივი რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ტრაგიკული ანაბეჭდი და საცნაურდება. ფორმალურად ის კომედიად რჩება.

მიუხედავად ამისა, ეს ფორმალური თავისებურება არ განსაზღვრავს პიესის რეალურ არსს, ანუ მას კომედიად არ აღვიქვამ - არც ახლა და არც მაშინ, როდესაც ის, სტუდენტობისას, პირველად წავიკითხე. ალბათ, მას არც შექსპირის ეპოქაში მიიჩნეოდნენ კომედიად. როდესაც შექსპირის ნაწარმოებებს მათი ხანგრძლივი კითხვის შემდეგ უფრო სრულად ჩაევნადი, მიხვდი, რომ უსიამოვნო განცდა, რომელიც ჩემდემტი წლის ასაკში გამოიწვია „ვენეციელი ვაჭრის“ უარყოფითი პერსონაჟის ბედ-იზბლის გამო - პიესის კომპლური სიუჟეტის მიუხედავად - სულაც არ იყო განსაზღვრული ჩემი კონკრეტული პიროვნებით ან



ცხოვრებისეული ისტორიით. პიესაში იგრძნობა შეუსაბამობა, რომელსაც გრძნობს ყველა მკითხველი თუ მსმელის. შაილოკი რომ ქმშარიტად ვიწოდებოდა პერსონაჟი ბასს - ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, დონ ჯონი დასაყრდენი პიესაში „აუზური არაფრის გამო“ - არავითარი შეუსაბამობის განცდა არ გავიწინდებოდა. მაგრამ შექსპირის ებრაელი მეგობარ ძალზე მშინველოვანი პერსონაჟი და გვეხმარება, გავიხსოვოთ საუბრები საკუთარსა და უცხოთ, ჩვენსა და მათს შორის.

შექსპირმა შეძლო გადმოეცა შაილოკის მწარე იუმორი, მისი გულსტიკილი, რომელიც იგრძნობდა ბოროტ ზრახვების მიმად; მისი სიამაყე თვისი ჭკუა-გონებით; წარმოგვიდგინა მისი ბატარა ოჯახი; გვაგრძნობინა მისი მარტოობა. შაილოკში გვცნობთ ჩვენს თვისებებს, ჩვენი გამოცდილების ელემენტებს. ამიტომაც, რომ, მკითხველთა და მაყურებელთა უმრავლესობის აზრით, სათაურში მოხსენიებული ვენეციელი ვაჭარი - ებრაელია.

ვენეციის გეტო, რომელიც ერთდროულად იყო მიდრეკილი აგრესიისა და თავდაცვისკენ, ძვირზე ზოგისძიებისა და მისი მოგერიებისკენ, საოცრად მაყარი აღმოჩნდა - მისი განადგურება მხოლოდ ნაპოლეონმა შეძლო სერენისისა და დაცემის წესად, 1797-ში. უფრო მეტიც, გეტო, რომელიც რელიგიურად არსებობდა ვენეციაში, სიმბოლურად არსებობდა მთელს იტალიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში და მსოფლიოში. და როდესაც გეტო გაცემ-ტერად, ის სიმბოლურად კვლავაც რჩებოდა იმით გონებასა და გულში, ვინც ამ წარმოსახული კედლების ორივე მხარეს ცხოვრობდა. ჩემმა მშობლებმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამგვარი კედლების მიღმა გაატარეს; უნდა ვაღიარო, რომ არასოდეს იყვნენ უფრო ტდინიერნი, ვიდრე მაშინ, როდესაც ამ კედლებს აფარებდნენ ხოლმე თავს. მაგრამ შექსპირს, რომლისთვისაც არც ისე მნიშვნელოვანი იყო ვენეციაში გეტოს არსებობის საკითხი, სძაგდა ნებისმიერი - რეალური თუ წარმოსახული - კედლები: პიესაში, რომელიც ასახულია ადამიანთა რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირება, ის ანგრევს ამ კედლებს.

თავისი მიზნის განხორციელებისას შექსპირმა უცხოელის მიზნის მიმადგელი სახე კი არ შექმნა (მისი შაილოკი ბოროტმოქმედი, რომელიც არაფრად აგდებს კანონიერ მკვლელობას), არამედ მაილოკს მეტი თეატრალური სასიცოცხლო ძალა მიანიჭა, უფრო ძლიერი ენებების მქონე ადამიანად წარმოგვიდგინა, ვიდრე ამ პიესის ნებისმიერი სხვა პერსონაჟი. საუკუნეების განმავლობაში აქტუალთა არ დაუკარგავს შაილოკის სიტყვებს:

„შენ ძალის მქონედი უმცირესოდ და თუ ძალე გეყოფილა, ახლა ჩემს კბილებს მოერიდებ. მოვარმა უნდა /მე სამართალი გამიჩინოს“; „ქარვა კეთილი მახსარია, მაგრამ ბევრს ხეიქვავს; /ლოკოკი-ნასებრ ზანტი არის მუშაობაში/ და გარეული კა-

ტის მსგავსად მთელი დღე სძინავს“; „განა გრძნობს ელს კი არა აქვს თვალეზი? განა ებრაელს კი არა აქვს ხელები? განა არა აქვს ყველა ორგანო, გრძნობები, მისწრაფებანი, ვნებათღელვანი?“; „თუ გვიჩვევით, განა ჩვენ არ დავგვიდინებთ სისხლი? თუ გვილიტრეთ, განა ჩვენ არ დავგვიცინებთ?“; „ნეტავი ჩემი ქალი მკვდარი იქნებოდა ფეხებთან და ის მარგალიტები ყურებში დაეკრებოდა“; „ხედავ? ხედავ? ხედავ? თუ ხედავ-მეთქი? ალბათი დავკარგე. მერე რა ალბათი - ორი ათასი დუკატი მიმიცია ფრანგურტში! დღემდე წყევა არ დასტყდნია ჩვენს მოდგმას, მე აქამდე აროდეს მიგრძნოია!“; „ზოგი ვერ იტანს პირლია გოჭს, ზოგსაც აგიყვებს /კატის დანახვა; ზოგს კი ცხვირწინ თუ ჩაუვარა /მეტყვირე გუდით, არ ძალუძს შარდის შეკავება“.

ცხოვრება, რომელიც სცენაზე მიმდინარეობს, მოიცავს იმგვარ დეტალებსაც, რომლებიც სიუჟეტს თითქოსდა არაფერს მატებს. კერძოდ, როდესაც შაილოკი შეიტყობს, რომ მისმა ქალიშვილმა გაცვალა ფირუზის ბეჭედი მაიმუნში - ფირუზის ბეჭედი, რომელიც მამას მოჰპარა, ის კი შაილოკს ან უკვე გარდაცვლილმა ცოლმა, ლიამ აჩუქა - მისი გულსტიკილი ეჭვს არ იწვევს. „შენ მაწამებ, ტუბაღ, ის ხომ ჩემი ფირუზი იყო! უცხოლო ვიყავი, ლიამ რომ მაჩუქა. მაიმუნების მთელი ტყე რომ მოეცათ, იმ ბეჭედს არ დაეზოზბდი!“ საკმარისია თუ არა ამგვარი დეტალები, რომ გააქარწყლოს მთაბეჭდელებს შაილოკის, როგორც უარყოფითი პერსონაჟის შესახებ? სულაც არა. მაგრამ ისინი ინვევენ პიესის შეუსაბამობის განცდას. შესაძლოა, მას თვით შექსპირიც შეუსაბამოდ მიიჩნევდა. როგორც ჩანს, შექსპირს გადარჩევითი ჰქონდა დაწერა მსუბუქი კომედია, რომლის სიუჟეტი ისესხა ჯოვანი ფიორენტინოს ნოველიდან *Il Pecorone* („ცხვარი“), მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩასწვდომოდა დამცირებული ადამიანის სულს. მაგრამ შაილოკმა საფრთხე შეუქმნა პიესის სტრუქტურას, და ამ უკანასკნელის გადარჩენის მიზნით შექსპირმა ერთგვარ ხერხს მიმართა - მეხუთე მოქმედებიდან საბოლოოდ გაიყვანა ებრაელი მეგობარი.

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შექსპირის დრამატურგიაში თვით ცხოვრება - მთელი თავისი სიჭარბით - იჭრება (ამიტომაც გვიჩნდება შეუსაბამობის განცდა). როგორც ჩანს, ტრადიციამ „რომოდ და ჯულიეტი“ ის იძულებული იყო მოეკლა მერკუციო, სანამ მერკუციო, როგორც პერსონაჟი, გაანადგურებდა პიესას. ასევე მოიქცა შექსპირი ისეთი პერსონაჟების შემთხვევაში, როგორებიც არიან ჯეკ კეიდი, აარონ მაგარი, მალვოლიო და კალიბანი. მართლაც, თითქმის ყველა პერსონაჟის სულის ღრმად - ზედმეტად ღრმად, სიუჟეტის გათვალისწინებით - ნვდომის უნარი შექსპირის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ამითვე აიხსნება ისეთი პერსონაჟების შთამბეჭდაობა, როგორებიც არიან ადრიანა პიესაში

„შეცდომათა კომედია“; ფეიქარი კოჭა „ზაფხულის ღამის სიზმარი“; როზენკრანცი და გილდენსტრენი „ჰალეცკი“; კორნულის მამაცი მსახური „მეფე ლირში“ და მრავალი სხვა. ამიტომ გვექმნება უცნაური ილუზია, რომ შექსპირის ზოგიერთი პერსონაჟი არსებობს იმ პიესებისგან დაშორებული, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. ეს კი განაპირობებს მორალურ და ესთეტიკურ სირთულეს, რომელიც დამახსიათებელია შექსპირის პიესებისთვის. ნიშანდობლივია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში კრიტიკოსები კამათობდნენ იმის შესახებ, გმირია თუ ბოროტმოქმედი ბრუტუსი „იულიუს კეისარში“. ამ პიესის ბოლოდროინდელ დედგამში (ოსკარ იუსტუსის მიერ) მაყურებლებმა იხილეს ტრაქიის მსგავსი დესპოტი - მაგრამ შემდეგ ისინი გააოგნა კეისრის მკვლელობამ, რომლის მიზეზიც ვახლდათ ბრუტუსის ყალბი წარმოდგენა საკუთარი სამართლიანობისა და შეუცდომლობის შესახებ. კრიტიკოსები კამათობდნენ იმის შესახებ, რომელი პიესაა, რომლის ზეგავლენით ის გაიზარდა კეისარს არა როგორც „ზოგადად, ადამიანს, არამედ - როგორც „გველის წინადაც“. აქედან გამომდინარე, ის თვლის, რომ კეისრის მოკვლის უფლება აქვს.

მართალია, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვიკვლეე შექსპირის შეზღუდვებს, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, რა ხერხებით მიაღწია მან თავისი პერსონაჟების უჩვეულო ცხოველყოფილობას. ზოგჯერ მგონია, რომ პერსონაჟები ნურბლებითი ახხენენ ხელეზუ და შექსპირი მათ ხელს არ უშლიდა, მისი სასიცოცხლო ძალა გამოენსუნდა. რაც შეეხება შილიუსს, ნაკლებად საეარაუდოა, რომ შექსპირს ოდესმე ენახა ებრაელი მევახზე, მაგრამ, შესაძლოა, ამ პერსონაჟის შექმნაში მას დაეხმარა მამამისის და, შესაძლოა, თავისი სავაჭრო საქმიანობა. საერაუდოა, აგრეთვე, რომ არც ისე დიდი ხნის წინ შექსპირის კათოლიკური ოჯახი პროტესტანტული რელიგიის აღმსარებლად იქცა, რაც მტკივნეული უნდა ყოფილიყო დრამატურგიისთვის და გამოიწვევდა ღრმა თანაგრძნობას შეილოკის მიმე მდგომარეობისადმი: „ბრავო, თანახმა ხარ?“

პერსონაჟისთვის ცხოველყოფილობის მინიჭება მწერლის წარმოსახვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია. ვინაიდან ადამიანების ძალზე მცირე ნაწილია დაჯილდოებული გენით, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ის თვისება, რომლის შესახებაც ვმსჯელობთ - ანუ სხვა ადამიანის შინაგანი ცხოვრების წყობისა და თანაგრძნობის უნარი, გარკვეულწილად, დემოკრატიულადაა განაწილებული, თუმცა კი სხვადასხვაგვარი იდეოლოგიები ზღუდავენ მას და ბევრი მხატვრული ნაწარმოები სწორედ ამ იდეოლოგიებს ასახავს. უფრო კეთილშობილური ნაწარმოებები ემსახურება თანაგანცდის უნარის გაღვიძებას, ორგანიზებას და განვითარებას. შექსპირის ქმნილებები

ბები სრულქმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებია არა იმიტომ, რომ გეთავაზობენ მათი მოჭრილი დიდიმების პრაქტიკული გადაწყვეტებებს, არამედ იმიტომ, რომ გვიჩვენებენ და გვარწმუნებენ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანების სულიერ პროცესებს.

შექსპირის შემოქმედება საშუალებას გვაძლევს, თავი დავაღწიოთ მენტალურ გეტოებს, რომლებშიც ბევრი ჩვენგანი ცხოვრობს. ლოსანჯელესში, როდესაც ლუდბანები და ღუქები გვსებულები იყო ჯაშუშებით, რომლებიც უსმენდნენ მთავრობის საწინააღმდეგო საუბრებს, დრამატურგს გამოჰყავდა სცენაზე მახინჯი სოფლისა, რომელიც უზენაესი ხელისუფლებისკენ მიიღწევდა; გამოჰყავდა პერსონაჟი, რომელიც უნებოდდა მაყურებლებს, თავის სამეცნიერო ძალს ხელისუფალით; თანაუგრძნობდა მსახურს რომელიც სასიკვდილო ჭრილობას აყენებდა ხელისუფალს, რათა ამ უკანასკნელს არ ენაშენებოდა, და, ბოლოს, მან დასკრა კრიტიკული სტრუქტურა, რომელიც ვეულობით ბრიტანეთის პარლიამენტში დატოვდა ხელნაწერ პიესაში სერ ტომას მორის შესახებ (როგორც ჩანს, პიესა ცენზურამ აკრძალა). შექსპირი გვიჩვენებს ტომას მორს რომელიც ეწინააღმდეგება ინგლისიდან უცხოტომელთა განდევნის მსურველ გააფთრებულ ბრძოლს. „განდევნილი ისინი“, ეუბნება მორს ბრძოლა და წარმოადგენს უბედური უცხოტომელი რომელიცა დატყვევებულია ჰაერში.

ზურგზე და უბედურეუ ბარბი მიაქვს რომელიც მიდიან ნავსადგურებთან

გასამკზაურებლად თქვენ კი მეფეებითი მორწმუნე იხხდები, იმ მეგობრით, რომ უტიფრობა

ყოვლისშემძლე და ძალუფს გაანადგუროს წესრიგი; ამიტომ სიბერემდე ვერ მიაღწევთ: სხვა უტიფარი ბრვეები

ამავე მიზეზით თავს დაგცხმთან და ზვიგენებით დაერევი და დატამთ ერთმანეთს.

ამგვარი ენა ვერ შენაცვლება ჰუმანური სერვამორის პოლიტიკის ენას, რომელიც დევნალებს მიმართ გამოიყენება და რომელსაც მიმართვენ ხოლმე კონსტიტუციური სამართლის ოქის ტიპი და ბრძენი, ლირსეული დიპლომატიები. მაგრამ ეს სიტყვები აცოცხლებენ ჩვენს ფანტაზიას „უბედურ უცხოტომელებს“ მათი „ზურგზე აკედებული ბავშვებით“. დრამატული დროის განმავლობაში მანძილად ადგილობრივ მცხოვრებთა და უცხოტომელებს შორის მცირდება; კედლები ირყევა; გეტო ინგრევა.



ელეგზარი ანუ წყარო და ბუჩქი

# მიშელ ტურნია

გასპარი,  
მელქიორი  
და  
ბალთაზარი

შინ იყვნენ გიგლიური მოგვები? საიდან მოვიდნენ  
გათლემები? რატომ დააგვიანდა მეოთხე მოგვს  
ქრისტეშობაზე ჩასვლა? მიშელ ტურნია ამ კითხვებზე პასუხს  
თავის რომანში გვთავაზობს.

გასპარი, მელქიორი და ბალთაზარი  
ელეგზარი ანუ წყარო და ბუჩქი  
ავტორი: მიშელ ტურნია  
გამომცემლობა: ალფი





# ნა პერიკაბა ყოფილი თქვანი რაქნა

ტელ: 577 747-719  
ელ-ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)

